საერთო გაზეთი

№10 (468) • 21 მარტი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

როცა სატანას ქალის სახე აქვს
ანუ პომადიანი თხები ქვეყნისა და ეკლესიის წინააღმდეგ

კობა არაბული:

მუდმივად დგას დილემა: უნდა დაველაპარაკოთ თუ არა რუსეთს.

დალაპარაკებას მაშინ ჰქონდა აზრი, როდესაც პუტინმა შემოგვთავაზა ორჯერ თუ სამჯერ (მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა აღიარებული აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“...) — საინტერესოა, რა სურდა მას, ჩვენ ეს უნდა გაგვეგო!

მაგრამ ჩვენი მხრიდან — ნაცების გავლენით — მხოლოდ დუმილი და აგრესია მიიღო. ჩვენ „აღიარებული“ სეპარატისტული რეჟიმები მივიღეთ!..

მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებას — მტერთან პირდაპირ საუბარს — ალტერნატივა არც ახლა აქვს... სხვა შენს მაგივრად შენს ინტერესს ვერ და არ დაიცავს...

სამწუხაროდ, რუსეთს არ ჰყავს ისეთი მტერი, ვისიც შეეშინდება და არც ისეთი მოყვარე, ვისიც შეეხათრება და დაუჯერებს. ამდენად, ამაოდ ირჯებიან (და წყალს ნაყავენ) სხვათა მოიმედენი: ნაცები და მისთანანი...

ჩვენი მეფეები პირადად ელაპარაკებოდნენ მათ, ყველაზე სასტიკ მტერს: მონღოლს, სპარსელს, ოსმალოს, რომაელს და ა. შ.

ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

ამდენად, სწორი და მართებული იყო კვირიკაშვილის მიმართვა, ოღონდ დაგვიანებული... მაგრამ სხვა გზა არ არსებობს...

ნაცების მიერ დანგრეული და ობის ბურუსში (და სისხლში) ჩამთხვეული ქვეყანა ძნელი გადასარჩენია, მით უფრო, ნაცების ინტერესში არ შედის ასეთი რამ: რომ მათი „გაფუჭებული“ სხვამ გაასწოროს. ამიტომ ნაცები სახიფათო „ნაღმებს“ უდებენ საკუთარ ხელისუფლებას, ივანიშვილს, ეკლესიას და, ზოგადად, ერს...

სენტენცია:

„...კარგი ის არის, **„ვინც გამორჩევით მქნელია“!** — ამბობს ყველა დროის ყველაზე დიდი გენიოსი რუსთაველი! „ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი წერია, რაც ბიბლიაში წერია და რაც იქ არ არის — ისიც...

ომი როგორ უნდა მოიგო, ისიც წერია და „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“ — ისიც...

წერია ისიც, რომ: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“ — ეს უნდა იცოდნენ ჩვენმა ნაცებმა და რესპუბლიკელმა კაცებმა და დიაცებმა!

უვიც ნაცებს და რესპუბლიკელ „ნარატივებს“ (სამადაშვილებს და სამნიძეებს) რუსთაველი რომ ჰქონდეთ ნასწავლი (თუნდაც წაკითხული), ასე არ მოიქცეოდნენ, როგორც იქცევიან, ექნებოდათ ოდნავი ზრდილობა მაინც... „ვეფხისტყაოსანი“ საგამოცდო ტესტი უნდა იყოს ყველა პარლამენტარისთვის და ჩინოვნიკისთვის (და, გნებავთ, ტელევიზიის ბორდისთვის“, რომელიც ბორდელს ჰგავდა, იმ დღეს რომ ვიხილე... მაშინ ეშველება ამ ქვეყანას...

„გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი!“ — ეს ტექსტი უნდა იყოს ჩვენი ერთადერთი იარაღი ჩვენს დროში ჩვენს მტერთან და მოყვარესთან ურთიერთობაში, ვიდრე სხვა ძალა და იარაღი არ გვექნება...

ამდენად, კვირიკაშვილის წერილი ერთადერთი უალტერნატივო ვერსიაა ჩვენს ვითარებაში, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერისთვის...

SOS!

ზოგჯერ ვფიქრობ, რომ აღარაფერი ეშველება ამ ქვეყანას!!!

პატრიარქს ასეთი რამ აროდეს უთქვამს.

პატრიარქის ეს ფრაზა უნდა იქცეს საგანგაშო ზარად მთელი ერისთვის...

ერი და ბერი ფეხზე უნდა დადგეს და გარეთ გამოვიდეს!

ჯერ უნდა გაიღვიძოს და მერე გამოვიდეს „ქუდზეკაცი“...

როგორც ილიას დროს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ გადიოდა ერში და თავიდან ასწავებდა და ახსენებდა დავიწყებულ დამწერლობას (ანბანს) და მშობლიურ ენას. ასევე უნდა გავიდნენ სასულიერო მოღვაწენი ერში და დაუპირისპირდნენ ქართველთა მორალისა და რელიგიის წინააღმდეგ გამოცხადებულ დაუფარავ ომს...

•

საჭიროა მამულზე, ენაზე, სარწმუნოებაზე, მის აღდგინებასა და დაბრუნებაზე ინტენსიური ლოცვა და ქადაგება.

მარტო ეკლესია ვერაფერს იზამს. უნდა შეიქმნას ერთიანი მობილური ჯგუფი საეკლესიო და სასულიერო პირთა (მწერალთა, ხელოვნების მოღვაწეთა, მეცნიერ-მწიგნობართა, საზოგადო მოღვაწეთა) და ერთად მისცენ ნუგეში და სასოება დაზაფრულ საზოგადოებას, რომელსაც წართმეული აქვს მიწა-წყლის ერთი მესამედი და მის მორალურ სივრცეს უხამსი, ამორალური ლესბოსურ-ლიბერასტული სამყარო იკავებს!..

ეკლესიის მამებმა უნდა იქადაგონ ეროვნული ხსნის და დაცვის ახალი მოძღვრება ახალ დროში სრულიად უცნობი (და ნაცნობი!) ვერბალური ძალების წინააღმდეგ!..

ერმა და ბერმა — ეკლესიამ უნდა იმოქმედოს გაბედულად...

ტელევიზიამ (I-მა არხმა) ეროვნული საქმის კეთება უნდა დაიწყოს. ეს ტელევიზია უნდა იყოს ერის, ქართველი ხალხის მენტალობის და ზნეობის ქომაგი, განსხვავებით ყველა სხვა ტელევიზიებისგან!

საზოგადოებამ, ხალხმა უნდა დაბლოკოს ანტიქართულ-ანტისახელმწიფოებრივი ჯაშუშური ტელევიზიები... დადგა პირდაპირი, ღია მოგერიების და დაცვის ჟამი ლიბერასტულ-სოროსულ-ფაშისტური იერიშებისგან...

•

სამარცხვინოა ის ბორდი და ბორდელიზაცია, რაც ახლა ტელევიზიის არხზე ხდება. არც ერთი ეროვნული პროექტი და იდეა!..

ვინ არიან ეს პატარაიები და გველესიანები...

ვის უტარებენ შესარჩევ გამოცდებს: თავად ზაზა შათირიშვილი როგორ უზის ამ ხლისტებს სოფლელი აბიტურიენტივით. ეს პირდაპირ სირცხვილია.

მართოს პარლამენტმა და ხალხმა I არხი და მორჩება.

2 გვ. →



რა შემოუთვალა „მამა ციანიდმა“ საპატიმროდან „ნაცებს“?

ვიზალიბერალ-იზაცია - შუბლში მორტყმული ბუმერანგი

„უსაზღვრო“ ქვეყანა

რუსეთის აგენტურაა ის, ვინც რუსეთთან დალაპარაკების წინააღმდეგია

კახეთში არაბი ინვესტორების უკან ქართველები დგანან

დიახ, მარიამ ღვთისმშობელი ქართველი იყო

შენი სკოლა ამაყობს შენით!

დიდი ცვლილებების კვირეული

მედიტაცია - სინათლე აღმოსავლეთიდან

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

როცა სატანას ქალის სახე აქვს ანუ პომადიანი თხები ქვეყნისა და ეკლესიის წინააღმდეგ

← 1 გვ.

●

ჩვენი ქვეყანა (და მსოფლიოც) მართლაც დგას დიდი აპოკალიფსური განსაცდელის წინაშე... რაღაც იცვლება გლობალურ სამყაროში, ხდება დროთა და მოვლენათა შებრუნება, ჯიშთა და სქესთა რეგენერაცია..

პატრიარქის ფრაზა იმ ხიფათის შემცველ საშიშ დროზე მიანიშნებს, რასაც ბიბლიელი და ფხოველი წინასწარმეტყველნი მიანიშნებდნენ.

აშკარად დგას სატანის მოციქულთა გამოცხადების ჟამი: ისინი ცხადად ჩამოდგნენ ჩვენს წინ ტელეეკრანებზე და ფეისბუკებზე...

ეკლესიას და პატრიარქს „პასუხს სთხოვს“ და შეურაცხყოფს ეშმაკის სამი მოციქული, სამი რესპუბლიკელი „ზომბი“ ქალი (დედაკაცი):

ვინმე ნინო ბოლქვაძე;

ვინმე კორძაია;

ვინმე სამნიძე...

„პატრიარქი ყანდურია“-ო;

„ეკლესია სახელმწიფოსგან იღებს ქრთამს!..“

„ყველა კაი პატრიარქი ყოფილა, გარდა ილია მეორისა“, რომელმაც მართლაც მკვდრეთით აღადგინა ქართული ეკლესია და შექმნა 40-ზე მეტი ეპარქია!..

პატრიარქს 40 წელი ედო ხელი ერის პულსზე და შველოდა მას, ფეხზე აყენებდა...

ახლა მას ეს უჭირს, ვინაიდან დრო და მოვლენები თანდათან დამძიმდა!..

მარტო ეკლესია ვეღარ იგერიებს სატანის იერიშს!

ამიტომ ერმა უნდა გაიღვიძოს და ეკლესიას დაუდგეს მხარში!..

ხოლო მოძღვრები, სასულიერო მოციქულნი, ტაძრებიდან უნდა შევიდნენ ერის წიაღში, როგორც მეუფე შიომ ბრძანა!!

●

სამწუხაროდ, ჩვენი ხალხი ვერ გრძნობს ხიფათის სიმძაფრეს — მას ჩაეძინა მტრების „ჯადო-თილისმაზე“, ის „გაითვალა“. ვინ გამოიყვანს მას ამ საღათას ძილიდან?..

– ისევ ეკლესია!

– ისევ...

●

მაგრამ ეკლესიას ებრძვიან ნაცები, სააკაშვილის გამონაყოფი კლონები, მასონი აგენტები, უცხოური სამადაშვილის ქალი, ბოკერია-ბარამიძეები, გირჩები, მელიები და განსაკუთრებით, რესპუბლიკელი „ნარატივი“ გენდერები...

ებრძვიან საკუთარი ამორალური მორალით!

ავხორცობა, ბოზობა მათი ცხოვრების „ბრენდად“ იქცა...

ეკლესიის შეურაცხყოფით და უარყოფით ხალისობენ დროის ეს უზნეო „ნარატივები“, „რუსულ ნარატივს“ არქმევენ ქართული ცხოვრების წესს და მორალს!

ეს ეშმაკის მოციქულნი — ამდენი არასამთავრობო ჰადესის თხები, ხელისუფლების უუნარობამ და ჩვენი ხალხის უბარგისობამ გააჩინა და გაამრავლა ამ მიწაზე!..

სიშიშვლე, ბოზობა, სოდომგომორული წესი წარმატებულ ხელობად იქცა ჩვენს გასოდომგაგომორებულ ქალაქში!.

●

„რუსთავი-2“ და „ტვ-1“ მერამდენედ იწყებს „ციანიდის საქმის“ გამოძიებას. მათ ეკრანიდან არ ჩამოყავთ მამალაძის ადვოკატები და გვარამია— მეუფე პეტრეს ნაცისტური კლანი და მათი ინტერესები! საზოგადოება ხედავს, როგორ ცდილობენ ეკლესიის დისკრედიტაციას, ერისგან და სახელმწიფოსგან მის გამიჯვნას, მაგრამ საზოგადოება და მრევლი საბედისწეროდ დუმს...

ქალმა-სატანამ, რომელიც უპირისპირდება ეკლესიას და პატრიარქს, არ იცის ქართული, გამოდის სატანის ბეჭდით (შუბლზე, ტუჩებზე). „ქალი“ არ არის მართლმადიდებელი, არ პასუხობს კითხვას თუ რა რჯულს ატარებს, რა კონფესიას ეკუთვნის.

– ეკლესია „ყანდურია“ და სახელმწიფოსგან იღებს ქრთამს, — გაჰკივის ეკრანიდან ეს უსირცხვილო ქართველი „მანდილოსანი“!

სამნიძე „ქრთამს“ არქმევს საპატრიარქოსთვის მისაცემ ვალს, მათი სისხლის და წართმეული ქონების საფასურს. რას არ ბედავენ და კადრულობენ ქართველი ერის ეს ეშმაკისეული „ნარატივები“!

— „ამოეწურაო კომპენსაცია!“ — ბოდავს ვინმე გამზარდია.

შეიძლება კი რამენაირი კომპენსაციის ამოწურვა იმ უსაზმნო ღვაწლის წინაშე, რაც ეკლესიას მიუძღვის ერის გადარჩენაში, ქართული სახელმწიფოს არსებობაში მთელი ისტორიის მანძილზე?!. სოროსის გველებს არ უნდათ არც ჩვენი სახელმწიფო და არც ეკლესია!..

●

P.S. რეზიუმე: ახლა მართლა თუ არ დავიცავთ პატრიარქს და ეკლესიას და ვერ მოვჭრით ქვეყანას „ეშმაკის კუდებს“, მართლაც დაღუპულია ერის საქმე.

ამის მერე თუნდაც ერთი ქართველი თუ დაუჭერს მხარს ამ „რესპუბლიკელ ვამპირებს“, ეს იქნება ჩვენი უღირსობის ნიშანი.

რესპუბლიკურმა პარტიამ უნდა მოახდინოს თვითლიკვიდაცია და ვფიქრობ, კიდევაც ახერხებს ამას.

საზოგადოებამ უნდა შეძლოს მათი ამოშლა საკუთარი ცნობიერებიდან და გააქრონ ეს ავთვისებიანი არსებანი.

თურმე არ არსებობს ადამიანის ავტორიტეტი მათთვის, არ არსებობს არც ეკლესიის და პატრიარქის ავტორიტეტი, არ არსებობს ერი და სამშობლო! ამას გაჰკივიან ეს უღმერთო ნეოლიბერალი ეშმაკის მოციქულნი...

ისინი დგანან სამშობლოს გარეთ, ცოცხლობენ (იკვებებიან) ერის სიძულვილით. ამიტომ უნდა მიიღონ საკადრისი პასუხი (და მიიღებენ კიდეც)!..

●

ნაციონალები და მათი ბელადები ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებენ სიტყვა „ნარატივს“. „რუსული ნარატივი“ „ზმეიკასავით“ აკერიათ პირზე. იმდენად დამფრთხალი არიან რუსებისგან, რომ ელიავაზე რომ ხანძარია (გინდა, ბორჯომის ტყეში), იმასაც რუსულ ნარატივს ეძახიან. თუ წყალი ადიდდა ან ქარმა სახურავი გადახადა სადმე, ისიც „რუსული ნარატივი“ ყოფილა...

დამფრთხალი, თავქუდმოგლეჯილი რომ გამორბოდნენ ცხინვალიდან, მათი ბელადი გორთან „ცხვირით რომ თხრიდა მიწას“, აქედან დარჩათ ეს სინდრომი.

ყოველი სიტყვა, ყოველი კეთილი საქმე ქვეყნისთვის, გნებავთ, ივანიშვილის ყოველი ქველობა და ღირსება მათთვის „რუსული ნარატივია“.

თვითონ ვისი და რისი „ნარატივები“ არიან ცხინვალიდან გამოქცეული ეს „დანა-ჩანგლიანი“ სანჩო-პანსები?!

ეკლესიების ამომთხრელი, ძეგლების დამაქცევარი, სვანეთის კოშკების ამომგდები კონკისტადორები, საკუთარ ქვეყანაში უცხო ქვეყნის მსტოვრები?!

ქართულ ეკლესიასაც კი „რუსულ ნარატივად“ აცხადებენ ეს „ეშმაკის ნარატივები“, მეძავი დიაცების, „რესპუბლიკელთა“ ლაშქარი.

●

მოდი, ისიც ვიკითხოთ:

რით განსხვავდება „ჰომო-საპიენსი“ („ჰომო-მორალისი“) პირუტყვისაგან, რომელმაც არ იცის, რა არის სამშობლო, რწმენა, სირცხვილი, მიცვალებულის გაპატიოსნება...

შემაძრწუნმებელ ურწმუნოებას, ველურობას, დაუნდობლობას ქადაგებენ ეს თითქოს „ცივილიზებული“ ეგრეთ წოდებული პარტიული წარმონაქმნები, რესპუბლიკელებად (თუ ნაცებად) წოდებული სექტები.

როგორც ბარბაროსი გუთები ებრძოდნენ შუმერულ ცივილიზაციას უძველეს დროში, ასე ებრძვიან ეს თითქოს განსწავლული ფსევდოქართველები (ფსევდოქრისტიანები) საკუთარ ეკლესიას, ერის რჯულს და ისტორიულ ცნობიერებას — რწმენაწარმოდგენებს.

გავიმეორებ: გამაოგნებელია სამნიძის, კორძაიას, ხიდაშელების, ვინმე ბოლქვაძის უტიფარი დაპირისპირება ეკლესიასთან, ბრძოლა სახელმწიფოს მიერ მისი დაუფინანსებლობისთვის.

აბა. ვის უნდა აფინანსებდეს, უსაქმურ პოლიტიკურ პარტიებს, შალიკო-პალიკოებს, ენჯეოებს, სხვა კონფესიებს?

მხოლოდ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ახმარს ამ ფულს საკუთარ ქვეყანას, მის კულტურას, მის სულიერ სრულყოფას და სწავლებას „უფლის სიტყვას, პურს ჩვენი არსობისას“, მის შეცნობას.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო სენტენციის სახით:

ფასეულობათა პროფანაციაა, რასაც „ესენი“ ცდილობენ მორალში, კულტურაში, მწერლობაში, დაკარგული აქვთ საკუთარი თავი და ეძებენ აბსურდში, აგრეთვე ნეგატივში, რომ როგორმე მუდმივად იტივტივონ ზედაპირზე და განუწყვეტლად აჩმორებენ სუფთა წყალსა და ჰაერს.

მათ ურჩევნიათ, დააბინძურონ ყველაფერი, დაშალონ ქვეყანა და დატკბნენ სოდომურ-ლესბოსური ვაკხანალიებით, ვიდრე წავიდნენ და ჩუმად დაჯდნენ რომელიმე ფერმაში ძროხასთან, ან ყვავილების სათბურში, ან წიწილების ინკუბატორთან, ან სადმე, პოლიტიკის გარეთ...

მაგრამ ეკა კვესიტაძეს და ინგა გრიგოლიას ურჩევნიათ, იჯდნენ **ბინძური შოუს** ეპიცენტრში, თავზე უტიფრობის ქაფი რომ გადასდით!..

ასეთია მათი და ჩვენი ბედისწერა. ჯობდა ის დრო, როდესაც გრიგოლია მწველავი იყო და **ძროხას** ჩხუნავდა...

●

ეს ქალები (და კაცები) ნაციონალი-ლიბერასტები, ლგბტ-ები, რესპუბლიკელები და დემოკრატები, კოსმოპოლიტები, ეს გენდერები ღმერთმა ქალებად გააჩინა და ეშმაკების „ნარატივებად“ იქცნენ... სამნიძეები და ბოლქვაძე-კორძაიები, სამადაშვილ-ხოშტარიები პირდაპირ გავიდნენ ქალური ბუნებიდან და ეშმაკეული ბუნება შეიძინეს!

ანდრეზული ინფორმაციით:

დიდმარხვობაში ერთი კვირით „ურწყნი“ რომ ჩამოდგებიან, ანუ ხვთის კარიდან გადმოყრილი (გამოდევნილი) ანგელოზნი და გაუგონარ ზიანს აყენებენ ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს და ბავშვებს. ამ მითის ანალოგიაა (გაცხადება) ჩვენი „ნარატივი“ ქალების დამკვიდრება ქართულ პოლიტიკაში, რომლებიც კატეგორიულად უარყოფენ პატრიარქის ავტორიტეტსაც კი და აუნაზღაურებელ ფსიქოლოგიურ და მორალურ ზიანს აყენებენ ქვეყანას...

რა სამწუხაროა, ქართველი ქალი ასეთ სახეს რომ მიიღებს... ჩამოჯდება ტელევიზიის ეკრანზე და მოურიდებლად თათხავს ერსა და ეკლესიას...

P.S. რამდენად უფრო სუფთა იქნებოდა ქვეყანა, მისი პოლიტიკა რომ ხვთისპირიდან გადმოყრილი ეს ლიბერასტები, ეს ლგბტ კაცები და დიაცები რომ გაერიდონ საერო და სასულიერო გარემოს, რომ მოხდეს სასწაული და ეს დეისაძეები და ბურჭულაძეებიც, რამდენიმე მეძავით, სულ ცოტა ხნით მაინც იქცნენ თაბაშირის ფიგურებად და გაჩუმდნენ. ღმერთო მაღალო, შენ გვიშველე! — შემომჩივლა მთიულეთიდან ბოდორნასკენ მიმავალმა მგზავრმა და ზედ კაფიაც დაატანა: „შენ რო ცოლი მოიყვანე, არ გიქებენ თვალადაო, მინდვრად ბალახს არა ტოვებს, ორღობეში ტალახსაო...“

აი, ასეთი „ტალახიტკეპნია“ და „ბალახიჭამია“ არიან ჩვენი პოლიტიკანი – ენაზე გასული „ნარატივები“...

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

რა შემოუთვალა „მამა ციანიდმა“ საპატიმროდან „ნაცებს“?

არცთუ დიდი ხნის უკან, ხმა გავრცელდა, ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე მდებარე ფრანგულ რესტორანში, უცნობმა პირმა გვარამიას ისეთი ჩაარტყა თავში, რომ მას შემდეგ გვარამიას ქრონიკული ტვინის შერყევა ჭირსო.

ჰოდა ამ გვარამიამ, ქრონიკული ტვინის შერყევით, დეკანოზ მამალაძის ადვოკატობა გადაქყვიტა – ალალ-მართალი კაცი ციხიდან უნდა ვიხსნათო. როგორც ბოროტი ხმები ამტკიცებენ, გვარამიას გაადვოკატრბა იმას გამოუწვევია თურმე, რომ „მამა ციანიდს“ საპატიმროდან შემოუთვლია, აღარ ძალმიძს აქ ყურყუტი, მომხედეთ ვინმემ, გამომათრიეთ ამ ოთხი კედლიდან, თორემ მოშიაშვილზე („თეთრი ბაირაღები“ ნოდარ დუმბაძე) არანაკლებ სისუსტეს ვატყობ ჩემს თავს, მოვაღებ პირს და ისე ჩამოვარაკრაკებ ე.წ „ციანიდის საქმის“ ნამდვილ ამბავს, ბევრს მოვიჯენ გვერდით, მათ შორის „ნაცებიდანაცო“.

გვარამია-ტვინი რომ არ გამომხტარიყო ადვოკატად, ე. წ „ციანიდის საქმეზე“ სათქმელი მრავალგზის და მრავალგვარად ითქვა, მაგრამ ჭინკები როცა ჩვეული დავლურის დავლას აპირებენ, ცოტა მაინც ხომ უნდა შეუხრჩოლო?

შეძლებისდაგვარად მოკლედ გადავხედოთ რა მოცემულობაში ამოხტა გვარამია — როცა „მამა ციანიდი“ წლობით იზოლირებამისჯილია. ეს ჩვენის პატივცემული „ტვინი“ რატომ მანამდე არ გაიქაჩა მის ადვოკატობაზე, როცა საქმე გავარვარებული იყო, რაო, მანამდე იმედიანად იყო?

აბა, გავიხსენოთ! მისი ადვოკატი ცხელ ამბავზე ამბობდა, რომ გიორგი მამალაძემ პროკურატურისგან მისი ოჯახის წევრების დაცვა მოითხოვა, რაზეც დაცვის მხარე ამბობდა: ძალიან ბევრი ისეთი კითხვები დაისვა, რაზეც მამა გიორგიმ კატეგორიულად განაცხადა, რომ კითხვებზე პასუხი გაეცემა იმის შემდეგ, როდესაც მისი ოჯახის წევრები იქნებიან დაცვით უზრუნველყოფილი. დავასაბუთებთ რის საფუძველზე უნდა მოხდეს ეს და რატომ ითხოვს, ეს მათი პრეროგატივაა, უნდა იმსჯელონო.

გამოეყო დაცვა თუ არ გამოეყო, ეს სხვა საკითხია, ფაქტი ისაა რომ არაფერი შემატება „ციანიდის საქმეს“, „მამა ციანიდს“ მხოლოდ ნიკა გვარამიაღა დარჩა იმედად. კაცი ამდენი ხანია ასეთ სკანდალურ საკითხზე ყურყუტებს „ვირის აბანოში“ და ახლაღა მოუნდა და ისიც გვარამიასთან ისეთი შოკისმომგვრელი ამბების მოყოლა რომ მრავლისმნახველ გვარამიას ყბა მოენგრა?

ზოგადად, თუ გადავხედავთ „მამა ციანიდის“ გულშემატკივართა წრეს, რატომღაც ყველანი ისეთი პირები აღმოჩნდებიან, ხალხი „მამალ ნაცებს“ რომ უწოდებს და არც თვითონ უარყოფენ რაიმე ფორმით. ჰოდა, ახლა ეს ახლადგამომცხვარი ადვოკატი გამოხტა და აგორგოლავებს, დეკანოზ მამალაძისგან თანამონაწილეებად მეუფე დიმიტრისა და მისი სიძის, სოსო ოხანაშვილის დასახელებას მოითხოვდნენო; ასევე, მოითხოვდნენ ეღიარებინა, რომ სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა, რომელშიც ფიგურირებდა სააკაშვილიცო; უნდა ეთქვა, რომ თითქოს გერმანიაში ჩავიდა მასთან შესახვედრად სააკაშვილი და მიმდინარეობდა მოლაპარაკებაო; საქმე ვერ შეიკერა და გადაწყვიტეს, ვითომ შორენა თეთრუაშვილის, პატრიარქის მდივან-რეფერენტის მოკვლა უნდოდაო; თეთრუაშვილის სოცოცხლის ხელყოფას ციანიდი რად უნდოდა, ყოველდღე ხედავდა, რატომ გაირთულებდა საქმეს, როდესაც ციანიდი ურთულესი მოსაპოვებელი საწამლავი არისო...

აბა, ამან რა უნდა იადვოკატოს, ჰა?

ახლა აიტეხა, პრეზიდენტი მესაუბროს ამ თემაზე, რადგან „მამა ციანიდი“ ხელისუფლებისა და საპატრიარქოს მძევალიაო. არა, განა პირადად ვერ დავუკავშირდები პრეზიდენტს, მაგრამ საჯაროდ მინდაო... უნდა, ვა!

თურმე „მამა ციანიდი“ არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტიც ჩართულია მის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში და არც იმას, რომ პრეზიდენტზეც მიმდინარეობდეს ზეწოლა. მოკლედ, „ტვინმა“ გვარამიამ ღია ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა „ვეტოდებიას“, არ ამყვები და მერე ნახე სეირიო... არაადექვატური „მარგველა“ თუ გადაირია და ახლა გვარამიას მოთხოვნას დაადო „ვეტო“, აი, მაშინ იქნება გამიშვი და გამატარე...

ორი დიდი ინსტიტუტი, სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულა ერთი, არაფრით გამორჩეული დეკანოზის წინააღმდეგ და შეთქმულება მოუწყვიათ, ციანიდი „ჩოუდვიათ“.

მამა გიორგის ძალიან ბევრი აქვს მოსაყოლი როგორც ეკლესიის შიგნით პროცესებზე, ასევე, იმ დაჯგუფებაზე, რომელიც არის სახელმწიფოს გავლენების ქვეშ და სწორედ ამიტომ მოაქციეს იზოლაციაშიო, საკმაოდ უსიამოვნო შინაარსის საკითხებიაო – ამბობს გვარამია. ამ გვარამიას აქამდე თავი ედო ბალიშზე თუ გენმოდიფიცირებული გოგრა...

თქვეს, ბიძია, თქვეს ყველაფერი ვისაც არ დაეზარა, ყველამ ყველაფერი თქვა, მხოლოდ „მამა ციანიდია“ აქამდე ჩუმად, რადგან ჯერ კიდევ აქვს იმედი რომ მის წონა ოქროს დადებენ ვიღაცეები და დაუძახებენ „მამალაძე, ს ვეჩამიო“, მაგრამ ის მისი ბლანჯოები ან ნამეტანი წუწურაქები აღმოჩდნენ, ან მეთოდები დაუძველდათ...

სათქმელი აქვს „მამა ციანიდსო“... რაც მას სათქმელი ჰქონდა, იქ ჰქონდა ბურთი და მოედანი და ეთქვა!

პატრიარქის ტახტამდე მას ვერავინ მიასუნინებდა და რა უნდა თქვას, მეუფე დიმიტრი, მეუფე აბრაამი, მეუფე დანიელი, მეუფე კალისტრატე და მეუფე პეტრე რომ ქიშპობდნენ ერთმანეთში ამის გამო, მე მოვყევი გაუგებრობაშიო?

თუ, ის უნდა მოყვეს, რომ მისი ძმა, თორნიკე მამალაძე ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრი შიოლაშვილის სიძე და პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის სოსო ოხანაშვილის მძახალი ყოფილა, მაგრამ მეუფე დიმიტრის სულაც არ სწვავდა „მამა ციანიდის“ საპატიმროში მონახულების სურვილი? დეკანოზს, ამაზე „ტვინთანაც“ გამოუთქვამს წუხილი, სრული უყურადღებობა და პირიქით, აგრესიული დამოკიდებულება გამოვლინდა მეუფე დიმიტრის მხრიდანო, არადა, მნიშვნელოვანწილად მის გამო ვიმყოფები ციხეშიო.

ბიჯოო, იმავე მეუფეზე თუ აიძულებდნენ ხელის დადებას და მის სიძეზე, ეს კიდევ ამბობს აი, არ დავადეო, ალალმართალი და „ტვინიანი“ პერსონებისგან ამგვარების ბჟუტური, ცოტა არადამაჯერებლად ჩანს, ადექვატურობაზე რომ არაფერი ვთქვათ...

შესაძლოა, იმის მოყოლა სურდეს, რომ საჯარო რეესტრში მის სახელზე ოთხი კომპანია („დიმოილი“, ტოროქსი“, კარო ოპტიმუსი“, „სუერტე“) იყო რეგისტრირებული და ამ შპს-ებში წილები ერიცხებოდა? არ იქნებოდა ურიგო წილები, „დიმოილის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ხომ სარფიან საქმიანობად არის ცნობილი: ნავთობპროდუქტების შემოტანა და რეალიზება; ავტოგასამართი სადგურების ორგანიზება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სავაჭრო ქსელების შექმნა და ექსპლოატაცია; სასტუმრო და რესტორნის ბიზნესი; ტურისტული ბიზნესის მომსახურება. დანარჩენ სამს უკრაინის მოქალაქეებთან ერთად ფლობდა და მისი წილი, ოფიციალური მონაცემებით 25% ყოფილა.

ბევრის რამის გახსენება და მოყოლა შეიძლება იმ პირებთან დაკავშირებით, ვინც „მამა ციანიდის“ გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს, იცავდა (ადვოკატების გარდა) და დაიცავს, დაწყებული ბიზნესმენ და სპეცრაზმელ, მცველ და კიდევ უამრავ რამ სოსო ოხანაშვილიდან, დამთავრებული შაშკინის ტარას შავშიშვილით და ნაპროკურპორალ გვარამიას თამადობით.

გიორგი ჩხეიძე

ვიზალიბერალიზაცია – შუბლში მორტყმული ბუმერანგი

გვესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, ვიზა-ლიბერალიზაციას საფრთხე უკვე შვედეთსა და საფრანგეთშიც შეექმნა. ასე თუ გაგრძელდა ევროკავშირში გაწევრიანება, ალბათ, ოცნებად დაგვრჩება.

— ჩვენ გამონაკლისი არ ვართ. ევროკავშირი თავშესაფარზე ბევრს ეუბნება უარს ანუ, ე.წ. ეკონომიკურ მიგრანტებს — ვინც იქ კარგი ცხოვრებისთვის მიდის. ეს ქართველებმაც მოინდომეს, რასაც ემატება კრიმინალური სამყაროს პრობლემაც. ორი დღის წინ საქართველოს კიდევ სამი მოქალაქე დააპატიმრეს გერმანიაში, რომლებიც სუპერ-მარკეტებს ქურდავდნენ. როცა ვიზა-ლიბერალიზაციას გვაძლევდნენ ჩვენს მთავრობას ყველა აფრთხილებდა, რომ პარალელურად, უნდა დაწყებულიყო პრევენციული ღონისძიებები — პასპორტის შეცვლის პროცედურის გამკაცრება და ა.შ., რაც მოგვიანებით გაკეთდა. სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფოს ყველა ჭანჭიკი მოშლილია. თავის დროზე თქვენთან ინტერვიუებშიც ვამბობდი: კი, მოგვცემენ ვიზა-ლიბერალიზაციას, მაგრამ მერე, ეს ბუმერანგად არ გვექცეს-მეთქი. რაც შეეხება ევროკავშირს, ეს ძალიან ხანგრძლივი პერსპექტივაა, მეტიც, შეიძლება დღევანდელი თაობა ვერც მოესწროს ისევე, როგორც ნატო არ არის ხვალინდელი ან ზეგინდელი დღე. ჩვენი საგარეო პოლიტიკა არათანმიმდევრულია. ავიღოთ, თუნდაც შემდეგი შემთხვევა — პრემიერი რუსეთს წერს: მოდით, შევრიგდეთ, ვილაპარაკოთ, თავი დავანებოთ ერთმანეთის ლანძღვასო. მეორე თუ მესამე დღეს კი საგარეო საქმეთა მინისტრი ინგლისელებს სოლიდარობას უცხადებს. რასაკვირველია, თუ კურსი ევროპისკენ გვაქვს აღებული, ინგლისელების მიმართ სოლიდარულნი უნდა ვიყოთ, მაგრამ აქაც არ ვართ თანმიმდევრულნი. რატომ გვეშინია ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიების შედგენის?! როდესაც მთელი ცივილიზებული დასავლეთი, რუსეთის წინააღმდეგ, ახალი სანქციების რეჟიმში გადადის, ჩვენ, რატომ ვიკავებთ თავს? რატომ ვერ შეჯერდა ორი კვირის მანძილზე პარლამენტი არაფრის მომცემ რეზოლუციაზე? რომელი ერთი ჩამოვთვალო. საგარეო პოლიტიკაში არასწორი, არათანმიმდევრული გზით მივდივართ. ან მკვეთრად ევროპული გზა უნდა ავირჩიოთ და რუსეთის წინააღმდეგ ყველა სანქციას შევუერთდეთ ან ხელისუფლებამ რუსეთთან დიალოგზე უნდა იფიქროს და ანტირუსული განცხადებებისაგან იმ პერიოდში მაინც შეიკავოს თავი.

— რუსეთისადმი კვირიკაშვილის მიმართვა ახსენეთ, რასაც იან კელიმაც დაუჭირა მხარი. ეს ვერ იქნებოდა ერთპიროვნული გადაწყვეტილება. რა გარიგების შედეგია ყოველივე?

— რასაკვირველია, ეს კვირიკაშვილის ინიციატივა არ არის. პირადად, მე, მიმართვის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ აღნიშნული ფორმა წამგებიანია. ჩვენ სულ ამ მხრივ ვაგებთ. ხელისუფლებამ მოსვლისთანავე აბაშიძე-კარასინის ფორმულა შექმნა. მაშინაც მცდარი პოზიციით დავიწყეთ, ავჩქარდით, პრობლემას დამწიფების საშუალება არ მივეცით. ახლანდელ მიმართვას რაც შეეხება, ჯერ ერთი ამ დალოცვილებს ცოტა მაინც მოეცადათ, სანამ ტატუნაშვილის ცხედარს გადმოასვენებდნენ და ეს ინიციატივა მერე წამოგვეწყო. თუ ფიქრობდნენ, რომ წერილი ცხედრის გადმოსვენებას დააჩქარებდა, ეს გულუბრყვილობა, არაპროფესიონალიზმია. შევხედოთ, რა პასუხი მივიღეთ. ლავროვის უწყებამ მოიწერა: „კვირიკაშვილის წერილი იმის იმედს იძლევა, რომ მარტის ბოლოსთვის დაგეგმილ ჟენევის შეხვედრაზე ქართული მხარე კონსტრუქციულ პოზიციას დაიკავებს“. ეს რას ნიშნავს? — იმას, რომ გვითხრეს: თქვენ, აქამდე, არასწორი პოზიცია გეკავათ და თუ ახლა, ამ წერილის შესაბამისად, პოზიციას შეიცვლით, მაშინ შეიძლება ყველაფერი კარგად წავიდესო. ანუ,

გვეუბნებიან: პოზიცია, რაც აქამდე გქონდათ მცდარი იყო და შეცვალეთ. იქვე, ცივი წყალი გადაასხეს კვირიკაშვილის იდეას ჟენევის მოლაპარაკებაში პირველი პირების ჩართულობის შესახებ. ეს ისედაც ზღაპარი იყო — არც ევროპა, არც ამერიკა, არც რუსეთი პირველ პირებს არავითარ შემთხვევაში არ დაავალებდნენ ორ-სამ თვეში ერთხელ ჟენევაში სასეირნოდ სიარულს. რუსეთმა მოგვწერა — თუ პოზიციას შეიცვლით და ისე მოიქცევით როგორც ჩვენ გეუბნებით, მაშინ უკვე იქ, კვირიკაშვილის ჩასვლა საჭირო აღარც იქნება, საკმარისია თუნდაც, შერიგების მინისტრი ჩავიდეს მოსალაპარაკებლადო.

როგორც ჟენევის ფორმატიდან არაფერი გამოვა ასი წელი, ასევე, ეს-ენ-გეს კომიტეტში სიარულით, არაფერი გამოვა. კი ბატონო, ჩადით, ელაპარაკეთ, მაგრამ იქ, სადაც ჩვენი ადგილია და არა იქ, სადაც სიარულს აზრი არ აქვს.

— ბატონო სოსო, როგორც აღნიშნეთ ნატო, ევროკავშირი საკმაოდ შორეული პერსპექტივაა, ხომ არ არის მცდელობა ისევ ძველ ბუნაგში — რუსეთში დაგვაბრუნონ?

— არა, არა, რუსეთში დაბრუნება გამორიცხულია. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავისი არჩევანი გააკეთა — ეს არის კლასიკური ევროპული ცივილიზებული ფასეულობები და ღირებულებები. რასაკვირველია, კურსი დასავლეთისკენ უნდა გვქონდეს, მაგრამ ამავე დროს ჩვენს საშინაო პოლიტიკაში ყოველი ნაბიჯი სწორედ ამ დასავლური ფასეულობებისა და ღირებულებების ჩვენთან დანერგვას უნდა ემსახურებოდეს. ოღონდ, არა, ვთქვათ, ასეთი კვაზი კონსტიტუციით, სასამართლოთი, თვითმმართველობით, კურიოზებით რაც ბორჯომში ხდება, საარჩევნო კანონით, კუდმოკვეცილი სულისმღაფავი პრესით და ა.შ. ევროპაში ჟურნალისტები ელიტარულ ნაწილად ითვლებიან. ქართველი ჟურნალისტები როგორ ცხოვრობთ, რა დღეშია ჩვენი პრესა, ამაზე ვიფიქროთ. ჯერ ევროპელები აქ გავხდეთ. ევროკავშირის გარეშე გავხდეთ ევროპელები შემდეგი კრიტერიუმებით: ჩვენი ფასეულობებითა და ღირებულებებით, ბიუჯეტისადმი მიდგომით, კორუფციის დონის, კრიმინალის შემცირებით. კი ბატონო, ვთქვათ, უცებ, მიგვიღეს ნატოში ან ევროკავშირში, მერე რა, აქ, ავტომატურად სიღარიბე, უმუშევრობა, კრიმინალი შემცირდება? მოგვცეს ვიზა-ლიბერალიზაცია, მერე რა? მოხდა ლუსტრაცია. თუკი ვინმეს ევროპაში ეჭვი ეპარებოდა, ახლა, ყველა დარწმუნდა, რომ ჩვენთვის ევროპული ცხოვრების წესი ჯერ ადრეა, ამისთვის მზად არ ვართ. ხომ ხედავთ რა ხდება? გერმანიიდან 80 ათას კაცს ყრიან. მთელი საქართველო უცებ აიყარა და ისე გაიქცა ევროპაში თითქოს, იქ, უფასოდ ფლავს არიგებდნენ, თითქოს, ვინმე ხელგაშლილი ელოდათ — გშიათ? — მოდით დაგაპურებთ, სამსახურს მოგცემთ, აქ იცხოვრეთ და კიდევ საქართველოში ფული გაუგზავნეთ თქვენს ნათესავებსო. ამის იმედი ჰქონდათ.

— რეგულაციები რასაც ევროპა გვიწესებს ხომ საკმაოდ მაღალ სტანდარტებს მოიცავს. ამისთვის მზად არის საქართველო?

— დიახ, სტანდარტები მართლაც მაღალია, მაგრამ მეორე მხრივ, სხვა ალტერნატივა არ გვაქვს. კომუნისტების დროს ასე იყო, გვეუბნებოდნენ: ჩვენ გარჩენთ, ოღონდ, პოლიტიკაში დამოუკიდებლობაზე, სუვერენიტეტზე არც იფიქროთ, იქნებით მაძღრები, მაგრამ ქართველები უცხოეთში ელჩებად ვერ იქნებითო. მაგრამ დღეს, რას გვთავაზობს რუსეთი, პუტინი რას ამბობს? — თქვენ, ჩემი კურსი უნდა გაატაროთ, ოღონდ, მე, ველარ შეგინახავთ — გაზში იმდენი უნდა გადამიხადოთ, რასაც გერმანია მიხდის, ასევე, ელექტროენერგიაშიც. ამიტომ, რომ ამბობენ პუტინს საბჭოთა კავშირის შექმნა უნდაო, სისულელეა. პუტინი გიჟი არ არის საბჭოთა კავშირი რომ აღადგინოს. მაშინ რესპუბლიკები ცენტრიდან ფინანსდებოდა, რის ფასად ეს სხვა საკითხია. კილოვატ საათი 2 კაპიკი ღირდა, გაზი კიდევ უფრო იაფი იყო. ამიტომ, ალტერნატივა არ გვაქვს — კურსი, გენერალური ხაზი ევროპისკენ უნდა გვქონდეს, მაგრამ ძალიან გათვლილი, მაღალპროფესიული, დიპლომატიური სვლებით. დღეს, რეალობაა ის, რომ დასავლეთს თავისი პრობლემები აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას რუსეთი სჯობს. დასავლეთიდან მაინცდამაინც ის უნდა გადმოვიღოთ რაც ხალხს არ მოსწონს? — ლგბტ, გეები და ა.შ. დასავლეთს სხვა გაცილებით მნიშვნელოვანი რაღაცები აქვს — დაბალი კორუფცია, სოციალური სახელმწიფო, უმუშევრობის შემცირება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკა. აი, ეს გადმოვიღოთ. ჩვენ რაც ადვილია იმას ვაკეთებთ — შექმნიან აქ ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას და იწყებენ წივილ-კივილს ლგბტ-ს უფლებებზე, პასპორტში ჩავუწეროთ ქალი თუ კაცი. კი ბატონო, ჩავუწეროთ, მაგრამ ეს რას შეცვლის, ამით ევროპელები გავხდებით, უმუშევრობა შემცირდება, სასამართლო, საარჩევნო პოლიტიკა უფრო უკეთესი იქნება, თამარ ჟვანია არჩევნებს უფრო უკეთ ჩაატარებს თუ რა? ნამდვილი ევროპულობა რაც არის, ამაზე, ჩვენი ხელისუფლება მორცხვად სდუმს.

— ბატონო სოსო, რეგიონში რუსეთის დომინანტობა დანარჩენ მსოფლიოსაც აწყობს. წინააღმდე შემთხვევაში შავი ზღვის აკ-

6 გვ.

„უსაზღვრო“ ქვეყანა

გვესაუბრება საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ისტორიის დოქტორი გელა ხუციშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თითქმის 30 წელი გავიდა, მაგრამ დღემდე ვერ გავარკვიეთ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე ვართ, თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის. თუ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ ვთვლით თავს, მაშინ რატომ არ ვაღიარებთ 1919 წლის ე.წ. მუდროსის ზავს და მხარს არ ვუჭერთ საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის შეთანხმებას, რაც ჩვენთვის ხელსაყრელია? თუ საზღვრებთან დაკავშირებით პრეტენზია არ გვაქვს, მაშინ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის 1937 წლის კონვენციით ვიხელმძღვანელოთ და ის სასაზღვრო რეჟიმი განვახორციელოთ, რაც ამ კონვენციაშია გაწერილი. ვფიქრობ, ამ გაურკვევლობის მიზეზი ისაა, რომ მავანნი ამით დიდ სარგებელს ნახულობენ. 1991 წლის 21 დეკემბერს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველომ თავისი საზღვრები იმ ადმინისტრაციულ სივრცეში გამოაცხადა, რომელიც სსრკ-ის შემადგენლობაში ჰქონდა, ანუ ჩვენს მეზობლებთან, მათ შორის თურქეთთან არ გვქონდა საზღვრებთან დაკავშირებით პრეტენზია. მაშინ რაღა საჭირო იყო 1992 წელს, თურქეთთან დაჩქარებული წესით შეთანხმების გაფორმება, რომლის ინიციატორები და შემდგენლები თურქები იყვნენ. შეთანხმება ორ ქვეყანას შორის მეგობრობას და კეთილმეზობლობას ითვალისწინებს და იქვე მითითებულია, რომ თურქეთის რესპუბლიკა და საქართველო აღიარებენ საბჭოთა კავშირთან გაფორმებულ ყველა საერთაშორისო შეთანხმებას, მათ შორის ყარსისასაც. რატომ იყო დაინტერესებული თურქეთი, რომ დამატებით, ცალკე გაფორმებულიყო შეთანხმება? ზოგიერთები რომ ვიშვიშებენ, ყარსის ხელშეკრულებას (1918 წელი) ვადა ეწურებაო, აქ არაფერია საგანგაშო, საერთოდ არაფერ შუაშია ეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან გაფორმებულ შეთანხმებასთან, რადგან ჩვენ სასაზღვრო ზოლს არ ვეხებით. ეს ხელშეკრულება არაფერს წარმოადგენს, მაგრამ მის დენონსირებას ვერ ვახდენთ, რადგან სამ რესპუბლიკას, საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს აქვს ხელი მოწერილი, რაც ფაქტობრივად იძულებით მოხდა. სომხეთი საერთოდ არ ცნობს ამ ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენ გავაცოცხლეთ 1992 წელს ხელმოწერილი ათწლიანი შეთანხმებით, რომლის რატიფიცირებაც 1993 წელს მოხდა. ამის შემდეგ იწყება საქართველო-თურქეთს შორის გამარტივებული ურთიერთობები, თურქეთმა 50-მილიონიანი კრედიტი გამოგვიყო, რომლის დაბრუნებასაც დღემდე არ ითხოვს. ამ 50 მილიონი დოლარის ასავალ-დასავალი კაცმა არ იცის, არის თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ერთმანეთთან?! ხსენებული შეთანხმება 2013 წლის შემოდგომაზე, ან უნდა გაგრძელებულიყო, ანდა გაუქმებულიყო, სწორედ ამ და სხვა ფაქტორებს ვუკავშირებ, მიხეილ სააკაშვილისთვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებას, მაისის მაგივრად ოქტომბერში რომ გაუშვეს სახლში. 2013 წელს უნდა მიგვეღო ტრანში თურქი-მესხების დაბრუნებასთან დაკავშირებით, 600 მილიონი ევრო უნდა შემოსულიყო ტრანსასაზღვრო რეგიონის განვითარებითვის, რაზეც დღეს ხმას არავინ იღებს. ყარსის ხელშეკრულების გაუქმებას ვერ ვახერხებთ, ამ ავადსახსენებელი შეთანხმების დენონსირება ნამდვილად შეგვიძლია. ამას გარდა, მთელი რიგი იდუმალებით მოცული საკითხებია, რომელსაც საზოგადოება ვერ იგებს, რატომ და რისთვის ხდება. აჭარაში ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსია, რომელიც თითქმის დასრულებულია, აზერბაიჯანის მიმართულებით, მთელი რიგი სტრატეგიული და ეკონომიკური ბერკეტები მთლიანად „სოკარის“ ხელშია. რუსეთს ამხელა ინტერესები და ეკონომიკური ბერკეტები აქვს საქართველოში, აზერბაიჯანი და თურქეთი მარტო ეკონომიკურ ექსპანსიას არ სჯერდებიან, აქეთ აფრიკელი და აზიელი მიგრანტების ტალღამ ლამის წაგვლეკოს და ამ ფონზე ჩვენ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს რუსეთთან, შესაბამისად არ ხდება ტრანსსასაზღვრო დანაშაულის გამოვლენა. ამ დანაშაულის დასაწყისს თუ რამენაირად მიაგენი, დასასრულს ვერ მიაგნებ, რადგან იწყება ერთ ქვეყანაში, სრულდება მეორეში, ან გრძელდება და მესამეში სრულდება, ეს ყველაფერი ხომ სადღაც იყრის თავს. მოქმედი ხელისუფლება მეტნაკლებად პატრონობს ქვეყანას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, როცა მოვა ისეთი ხელისუფლება, რომელიც მართლაც საერთო სახალხო პოლიტიკას გაატარებს, მაშინ ბევრი რამ ნათელი გახდება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. მავანთ ნუ ჰგონიათ, რომ, რახან სს-ის კოდექსში სამშობლოს ღალატის მუხლი გააუქმეს, პასუხისგებისგან დაცულები არიან. სამშობლოს ღალატს, ხანდაზმულობა არ გააჩნია, ასე რომ, ყველას თავისი მოეკითხება და მოეთხოვება. შემოდგომაზე

ჯანს აქვს ხელი მოწერილი, რაც ფაქტობრივად იძულებით მოხდა. სომხეთი საერთოდ არ ცნობს ამ ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენ გავაცოცხლეთ 1992 წელს ხელმოწერილი ათწლიანი შეთანხმებით, რომლის რატიფიცირებაც 1993 წელს მოხდა. ამის შემდეგ იწყება საქართველო-თურქეთს შორის გამარტივებული ურთიერთობები, თურქეთმა 50-მილიონიანი კრედიტი გამოგვიყო, რომლის დაბრუნებასაც დღემდე არ ითხოვს. ამ 50 მილიონი დოლარის ასავალ-დასავალი კაცმა არ იცის, არის თუ არა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ერთმანეთთან?! ხსენებული შეთანხმება 2013 წლის შემოდგომაზე, ან უნდა გაგრძელებულიყო, ანდა გაუქმებულიყო, სწორედ ამ და სხვა ფაქტორებს ვუკავშირებ, მიხეილ სააკაშვილისთვის საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებას, მაისის მაგივრად ოქტომბერში რომ გაუშვეს სახლში. 2013 წელს უნდა მიგვეღო ტრანში თურქი-მესხების დაბრუნებასთან დაკავშირებით, 600 მილიონი ევრო უნდა შემოსულიყო ტრანსასაზღვრო რეგიონის განვითარებითვის, რაზეც დღეს ხმას არავინ იღებს. ყარსის ხელშეკრულების გაუქმებას ვერ ვახერხებთ, ამ ავადსახსენებელი შეთანხმების დენონსირება ნამდვილად შეგვიძლია. ამას გარდა, მთელი რიგი იდუმალებით მოცული საკითხებია, რომელსაც საზოგადოება ვერ იგებს, რატომ და რისთვის ხდება. აჭარაში ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსია, რომელიც თითქმის დასრულებულია, აზერბაიჯანის მიმართულებით, მთელი რიგი სტრატეგიული და ეკონომიკური ბერკეტები მთლიანად „სოკარის“ ხელშია. რუსეთს ამხელა ინტერესები და ეკონომიკური ბერკეტები აქვს საქართველოში, აზერბაიჯანი და თურქეთი მარტო ეკონომიკურ ექსპანსიას არ სჯერდებიან, აქეთ აფრიკელი და აზიელი მიგრანტების ტალღამ ლამის წაგვლეკოს და ამ ფონზე ჩვენ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს რუსეთთან, შესაბამისად არ ხდება ტრანსსასაზღვრო დანაშაულის გამოვლენა. ამ დანაშაულის დასაწყისს თუ რამენაირად მიაგენი, დასასრულს ვერ მიაგნებ, რადგან იწყება ერთ

— ბატონო გელა, პრემიერ-მინისტრის რუსეთისადმი მიმართვას არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვა, ნაციონალებმა და მათმა სატელიტებმა გიორგი კვირიკაშვილს ყველა ცოდვაში დასდეს „ბრალი“. თქვენ როგორ შეაფასებთ პრემიერის ხსენებულ განცხადებას?

— პრემიერ-მინისტრს აჩქარება არ ახასიათებს, ის დაუფიქრებლად არ გააკეთებდა განცხადებას, თუ მანმადე რამე დაუშავებია, კანონი თუ არა, უფალი მოჰკითხავს, ყველა ცოდვას მას ნუ აჰკიდებენ. მეორე საკითხია რა უძღვოდა წინ გიორგი კვირიკაშვილის რუსეთისადმი მიმართვას, ის ვიზიტით იმყოფებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ ვიზიტებს წინ რა უძღვოდა, რატომღაც მედიამ და პოლიტიკურმა სპექტრმა „ლაითად“ გაატარა, კაციშვილს არ მიუქცევია ყურადღება. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მოსკოვში შეკრიბა თითქმის ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ბალტიისპირელებს არ დაუძახეს, ჩვენ ხომ საერთოდ არ გავხსენებივართ. არაოფიციალური წყაროებიდან გავიგე, რომ ამ საპრეზიდენტო არჩევნებია, ახლა გვეძლევა საშუალება, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღოთ, რაც ხელს შეუწყობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხის მოგვარებას.

ბატონო გელა, პრემიერ-მინისტრის რუსეთისადმი მიმართვას არაერთგვაროვანი რეაქცია მოყვა, ნაციონალებმა და მათმა სატელიტებმა გიორგი კვირიკაშვილს ყველა ცოდვაში დასდეს „ბრალი“. თქვენ როგორ შეაფასებთ პრემიერის ხსენებულ განცხადებას?

— პრემიერ-მინისტრს აჩქარება არ ახასიათებს, ის დაუფიქრებლად არ გააკეთებდა განცხადებას, თუ მანმადე რამე დაუშავებია, კანონი თუ არა, უფალი მოჰკითხავს, ყველა ცოდვას მას ნუ აჰკიდებენ. მეორე საკითხია რა უძღვოდა წინ გიორგი კვირიკაშვილის რუსეთისადმი მიმართვას, ის ვიზიტით იმყოფებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამ ვიზიტებს წინ რა უძღვოდა, რატომღაც მედიამ და პოლიტიკურმა სპექტრმა „ლაითად“ გაატარა, კაციშვილს არ მიუქცევია ყურადღება. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა მოსკოვში შეკრიბა თითქმის ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, ბალტიისპირელებს არ დაუძახეს, ჩვენ ხომ საერთოდ არ გავხსენებივართ. არაოფიციალური წყაროებიდან გავიგე, რომ ამ შეხვედრას თურქეთის წარმომადგენელიც ესწრებოდა და ერთ-ერთ მთავარ საკითხად განიხილებოდა ყარაბაღის თემა. მოგეხსენებათ, ამ საკითხით თურქეთიც სერიოზულად არის დაინტერესებული. სომხეთი მიდის იმ დათმობაზე, რომ აზერბაიჯანს ყარაბაღის სამი რაიონი გადასცეს, აზერბაიჯანი რა თქმა უნდა ექვსივე რაიონს ითხოვს, მაგრამ ოთხზეც თანახმაა, მათ შორის ლაჩინის დერეფანზე. აქ ერთი ძალზე საინტერესო მომენტია (სამწუხაროდ, ესეც გადაუმოწმებელი ინფორმაციაა), თურქეთი არ არის წინააღმდეგი, რომ თუ ამ ოთხ რაიონს დაუბრუნებენ აზერბაიჯანს, მონაცვლე ტერიტორია გადაეცეს სომხეთს. ეს „მონაცვლე“ შემთხვევით ახალქალაქის რაიონი ხომ არ არის, რომლის სომხეთისთვის გადაცემასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა თურქეთი, რადგან სომხეთი იქ თურქი-მესხების ჩასახლების წინააღმდეგი იყო. საქართველო სად არის იმ დროს, როგორ მონაწილეობს ამ შემთხვევაში, როცა „კეთილი“ მეზობლები ასე ვაჭრობენ მისი ტერიტორიებით? ეს ყველაფერი ძალიან მახსენებს მე-20 საუკუნის დასაწყისს, როცა ბრესტისა და მოსკოვის ხელშეკრულების გაფორმების დროს არავინ დაგვიძახა, ისე უბოძეს ჩვენი ტერიტორიები მეზობლებს. ჩვენ ყველა საკითხი უნდა გადავდოთ და მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნებასა და შენარჩუნებაზე ვიზრუნოთ, რადგან ტერიტორიებს თუ დავკარგავთ, ერი აღარ ვიქნებით, ვიქნებით მხოლოდ ეროვნება, ისევე როგორც ასირიელები, ქურთები და სხვა მრავალი ხალხი. პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს ძალიან დიდი შეცდომა აქვს დაშვებული, თურქეთს საზღვართან 6 ჰექტარი მიწა რომ გადასცა. მას არ უნდა მიეღო ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა, რადგან კონსტიტუციით ის არ არის უფლებამოსილი პირი. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი პრეზიდენტია, ხოლო ტერიტორიული მონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა. მე ისიც არ ვიცი, ამ 6 ჰა მიწის საკითხი პარლამენტში თუ არის რატიფიცირებული. ის მდინარე, რომლის კალაპოტის შეცვლის გამოც უბოძეს თურქეთს 6 ჰა, 1979 წელს გადმოვარდა საქართველოს ტერიტორიაზე, ახლა რატომ დადგა ამაზე საუბრის დრო? ასეთი შემთხვევა კახეთშიც გვაქვს, ალაზნის კალაპოტის შეცვლის გამო, სოფელი ერისიმედი მეორე მხარეს დარჩა. ჯერ აზერბაიჯანისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული ზაქათალის ტერიტორიის საკითხი ვერ გაგვირკვევია და ახლა კიდევ ამ ტერიტორიას უკანონებ?! ჩვენ ძალიან დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ, ლამის ყველა მხრიდან გვიტევს ეკონომიკური და დემოგრაფიული ექსპანსია. დაინტერესდით ტრანსსასაზღვრო რეგიონალიზმით, რომელიც 1945 წლის შემდეგ დაიწყო, მანამდე საზღვრების ხელმეორე გადასინჯვა აკრძალული იყო. ნახეთ ევროკავშირი როგორ განსაზღვრავს რეგიონის არსს, ერთი ტერიტორია, ერთი ეთნოკულტურა, დემოგრაფიული ფონი და გაყოფილი ორი სახელმწიფოს სუვერენიტეტი. 2009 წელს შეიქმნა მუნიციპალიტეტების საბჭო, მარნეული, დმანისი, ბოლნისი და ნინოწმინდა. თუ ადმინისტრაციული დაყოფის პრინციპით ვიმსჯელებთ, რა ესაქმება ხომ ნინოწმინდას ამ რაიონებთან? საქმე იმაშია, რომ ოთხივე რაიონი სომხეთს ესაზღვრება, სომხეთის მხარეს შეიქმნა ალავერდი და კიდევ ორი სხვა. „ევრორეგიონ არმენია“, 2010 წელს, ასოცირებულ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, ხოლო 2011 წელს გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება სომხეთიდან გამარტივებული წესით ტვირთების გამოტარების შესახებ. ევროკავშირმა პროექტის რეალიზებისთვის, რომელიც ერთობლივ კულტურულ, სამეურნეო და აგრარული პროგრამების განხორციელებას გულისხმობს, 600

6 გვ.

ვიზალიბერალიზაცია – შუბლში მორტყმული ბუმერანგი

4 გვ.

ვატორიაში შესაძლოა თურქეთი გაბატონდეს, რაც არც ნატოს ინტერესში შედის და არც ევროკავშირის.

— ჯერჯერობით, თურქეთის გაბატონების საფრთხე არ არსებობს ვინაიდან თვითონ ნატოც თანდათანობით, ფრთხილად, შავ ზღვაში სულ უფრო და უფრო აქტიურდება. გარდა ამისა, თურქეთის დომინანტობას ცოცხალი თავით არ დაუშვებს რუსეთი თუ გნებავთ, თუნდაც იმიტომ, რომ შავ ზღვაში სევასტოპოლია. თურქეთისა და რუსეთის, თითქოს, დამეგობრება დროებითია, ისინი ამ რეგიონში ისტორიული მოწინააღმდეგენი, ოპონენტები არიან, სადაც ერთის გაძლიერება ავტომატურად მოასწავებს მეორის შესუსტებას და თანაც, ნუ დავივიწყებთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიის პრობლემა ჯერ არავის არ გადაუწყვეტია — კადიროვი დღეს არის, მაგრამ მუდმივი არაფერია.

— თურქეთის საკითხი გასაგებია, მაგრამ რამდენად სანდოა ევროპისთვის რუსეთი?

— ევროპისთვის უკვე რუსეთიც აღარ არის სანდო. ორი ადამიანი — რუსეთის მოქალაქე, თითქოს, ინგლისში მოწამლეს და მთელი დასავლეთი ინგლისის გვერდით დადგა. ტრამპმაც კი საჯაროდ განაცხადა: ეს, ალბათ, რუსეთის გაკეთებულიაო. ასე თქვა ამერიკის პრეზიდენტმა, რომელიც ადრე სხვაგვარად მეტყველებდა: ყველაფერს რუსეთს ნუ აბრალებთო. აქ, უკვე, იცით რაშია საქმე? — პოლიტიკაში ხდება ისე, როდესაც მეორე პლანზე გადადის ფაქტი — მართლა არის თუ არა ერთი სახელმწიფო რაღაცაში დამნაშავე. მთავარი ისაა, უკვე ყველას სჯერა, რომ ეს სახელმწიფო ამის გამკეთებელია და მან ხომ ლიტვინენკო მოწამლა. ასევე სჯერათ, რომ ეს სახელმწიფო ადრე, თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს მთელს მსოფლიოში ხოცავდა. ასეთ სიტუაციაში რუსეთი ევროპისთვის სანდო ვერ იქნება. აქვე ვიტყვი: მერკელმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც თავისთან მილიონი მუსულმანი შეუშვა, მაგრამ ხომ ხედავთ, გერმანელებმა მაინც მას დაუჭირეს მხარი, მაინც შედგა ეს კოალიცია, მთავრობა. გერმანია, ამ საკითხში, მაინც წელში გაიმართება, რადგან ეკონომიკურად მძლავრია. აქვე გავიხსენოთ, რა დაამტკიცა რუსეთმა სირიაში? — ის მხოლოდ თავის ინტერესებში მოქმედებს და საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკელებმა რუსები დახოცეს.

— ბატონო სოსო, თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ ხელისუფლება ხალხის პრობლემებს არ იცნობს. თუნდაც, ვიზა-ლიბერალიზაციის შემთხვევაში ხომ შეიძლებოდა სამუშაო ვიზები მოეთხოვათ?

— რასაკვირველია. რა, განა ჩვენმა მინისტრებმა არ იცოდნენ, რომ აქედან მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროპაში ლუვრის და ვერსალის სანახავად არ წავიდოდა?! მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ, რომ ჩვენთვის სამუშაო ვიზა მოეცათ, თუ გნებავთ, დროებითი. გვითხრეს: შეგიძლიათ ევროპაში სამი თვე იყოთ, მაგრამ ამ სამ თვეშიც კი დაშვებული არ არის, რომ თუნდაც ერთი თვე იმუშაო შემთხვევითი სამუშაო თუ ნახე. აქცენტი მხოლოდ ტურისტებზეა ე.ი. ვინც მიდის და ფულს ხარჯავს. ასეთი, ალბათ, 1%.-ია. აი, რაშია პრობლემა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„უსაზღვრო“ ქვეყანა

5 გვ.

მილიონი ევრო გამოყო, გრანტები იყო 20.000-დან 200.000 ევრომდე. ეს გრანტები განაწილებულია და მუშაობაც მიდის, მაგრამ ამაზე ვინმე ხმას იღებს? პროექტის პრეზენტაცია რუსთავში, „დემოკრატიული განვითარების ცენტრში“ შედგა, „ქორთიარდ მერიოტში“ მუშაობის შედეგები აღინიშნა. თუ იმ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, რომ ევრორეგიონი არის ერთი ხალხი, ერთი კულტურა, ერთი რელიგია, უკვე გასაგებია რატომ დაარქვეს ანაკლიაში განსახორციელებელ მშენებლობას „ლაზიკა“. თურქეთის მხარეს ლაზისტანია, იქიდან დაწყებული ბულვარი, რომელმაც ბათუმზე გაიარა, „ლაზიკამდე“ უნდა მისულიყო. დათვალეთ, შემდგომ რამდენი პორტი იყრიდა იქ თავს და თავს და პატარა სინგაპურის სახეს ღებულობდა. სწორედ „ლაზიკაში“ იგეგმებოდა თურქი-მესხების ჩამოსახლება, ანუ რელიგიური ფაქტორიც ხელშემწყობი იყო.

— ამ ყველაფრის „მედროშე“ ხომ საკაშვილი გახლდათ?

— გვარს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ეს გეგმა არსებობს. აქვე ყურადღება მინდა გავამახვილო 2007 წელზე, სამწუხაროდ ფაქტობრივ მასალებს არ ვიცნობ, მაგრამ ევროკავშირის ჩარჩოში იყო საკითხი განხილული, რომ მაღალი დემოგრაფიული ფონის მქონე, შიმშილის ზღვარზე მისული მოსახლეობის გადანაწილება, მომაკვდავი ერების ტერიტორიებზე მომხდარიყო. ამ ერებში ქართველებსაც მოგვიხსენიებენ. ამ ფაქტორს ვაბრალებ არაბების და სხვა ერების საქართველოში ასეთ მოძალებას. საკუთარ ქვეყანაში შიმშილით კუჭი უხმებათ და სად შოულობენ იმ 5.000 ევროს საქართველოში ჩამოსასვლელად, პლიუს ამას იმ 35.000 დოლარს, რომლითაც ოჯახით ბინადრობის უფლებას იღებენ. ნახეთ, რა ეშმაკური სქემაა შემუშავებული, უცხოელებზე მიწას არ ვყიდით, მაგრამ ვინაიდან ამ უცხოტომელებს აქ ცხოვრების უფლებას ვაძლევთ, ე.ი. თვითდასაქმების უფლებაც უნდა მისცე, შეუძლიათ მიწა 25-წლიანი იჯარით აიღონ და დაამუშაონ. არავის ანაღვლებს ეს მიგრანტი ოთხი ცოლით რომ ჩამოდის, რომლებიც აქ კიდევ გაუჩენენ შვილებს. საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით, ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან. სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ, შეუძლიათ ის მიწა გამოისყიდონ და დამთავრდა, ასე იწყება კოლონიზაცია. ეს არის დემოგრაფიული ექსპანსიის ერთ-ერთი მაგალითი. პრემიერ-მინისტრის განცხადებას დავუბრუნდეთ, ის რა თქმა უნდა რიგით მოქალაქეებზე გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობს, ჩავიდა სომხეთში, რომელიც დსთ-ის ერთიან უსაფრთხოების ქოლგაში შემავალი სახელმწიფოა. თუ დეოკუპაციის კანონით ვმოქმედებთ და დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს რუსეთთან, რეგიონში მისი სამხედრო-ეკონომიკური მოკავშირე სომხეთია, ავტომატურად მასთანაც ხომ გვაქვს გაწყვეტილი ურთიერთობა. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ 2008 წლის ომის დროს, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავები, არა მარტო სტავროპოლის, არამედ გიუმრის (ყოფილი ლენინაკანი) ბაზიდან ფრინდებოდნენ, ე.ი. სომხეთ-საქართველოს საჰაერო სივრცე ირღვეოდა. აზერბაიჯანმა, მიუხედავად მისი ძლიერი ეკონომიკური პოტენციალისა, მაინც დაამყარა რუსეთთან ეკონომიკური კავშირები და მისი მეშვეობით ახორციელებს ნავთობის ექსპორტს. ამ ქვეყნებთან დალაპარაკების შემდეგ გააკეთა პრემიერმა მიმართვა რუსეთთან ურთიერთობის გაფართოების შესახებ. მავანნი რომ გაჰყვირიან, ეს როგორ გაბედა კვირიკაშვილმა, რუსეთი ხომ კონფლიქტში მხარეაო. რუსეთი არა მარტო მხარეა, არამედ, ფაქტობრივად, ის აკონტროლებს მთელ რეგიონს. ასე რომ, ფრთხილად და ფხიზლათ ვიყოთ — ეს ისედაც ამპუტირებული ქვეყანა კიდევ ერთხელ არ დაანაკუწონ და ვიღაც-ვიღაცებმა ერთმანეთში არ გადაინაწილონ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24



სოსო მანჯავიძე:
რუსეთის აგენტურაა ის, ვინც რუსეთთან დალაპარაკების წინააღმდეგია

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ბატონი სოსო მანჯავიძე.

— ბატონო სოსო, დასავლელი ლიდერების ბოლოდროინდელ განცხადებებს თუ გავითვალისწინებთ, საქართველოს ევროკავშირისკენაც ეკეტება გზა. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— მოწმენდილ ცაზე ჭექა-ქუხილივით გაისმა გერმანიის კანცლერის განცხადება: ქართველები ღუპავენ ევროპასო. ამას მოჰყვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ჩვენი ემიგ-

რანტების შესახებ, ხმა ამოიღო შვეციამაც, ანუ ევროკავშირმა, ფაქტობრივად, კარები მიგვიხურა.

გამოდის, რომ ერთგვარ ჩიხში აღმოვჩნდით. ეს უფრო ხელოვნურად შექმნილი სიტუაციაა, რადგან, თუ რუსეთი რეგიონიდან წავა, შავ ზღვას თურქეთი დაეპატრონება. ეს კი მის ავტომატურ გაძლიერებას ნიშნავს, ხოლო თურქეთის გაძლიერებას ისევ რუსეთის გაძლიერება ურჩევნია ევროპას და ევროპის კავშირის სახელმწიფოებს.

ზემოთჩამოთვლილი ამ არგუმენტების გასამყარებლად აშშ-ის ელჩის იან კელის განცხადებას მოვიხმობ, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივის შემდეგ გააკეთა. მან მოიწონა პრემიერის მზადყოფნა რუსეთთან დიალოგის შესახებ.

წარმოიდგინეთ, ეს სხვა დრო ყოფილიყო, როგორ დაესეოდნენ კვირიკაშვილს. თუმცა ე.წ. დასავლეთის მომხრე ლიბერალებს მაინც არ მოსწონთ პრემიერის პოზიცია და არ სურთ დიალოგი შედგეს რუსეთ-საქართველოს შორის. ეს ის ხალხია, რომლებიც თავს მედასავლეთეებს უწოდებენ, ხოლო სინამდვილეში რუსეთის აგენტურა ბრძანდებიან, ოღონდ რუსეთში არსებული სომხური ძალების აგენტები, რომლებსაც არ სურთ, შედგეს დიალოგი და დაბრუნდნენ, მაგალითად, აფხაზეთში ქართველი დევნილები. იმ აფხაზეთში, სადაც დღეს, პირდაპირ ვთქვათ, სომხები უმრავლესობას წარმოადგენენ.

რამდენი პროცენტია აფხაზეთში სომეხი მოსახლეობა, ამის შესახებ ინფორმაციას რუსული დაზვერვა საგანგებოდ მალავს, მაგრამ ჩემი გათვლებით, სომეხთა რაოდენობა აფხაზეთში დაახლოებით, 60%-ია. აფხაზეთში სამთავრობო პოსტებს სომხები, ჯერჯერობით, ვერ იკავებენ, მაგრამ, ალბათ, აფხაზებს მალე მოუწევთ სომხური მმართველობის სიმკაცრის საკუთარ თავზე გამოცდა. აფხაზეთში ეთნიკური აფხაზების გენოციდი მიმდინარეობს. ასე ვთქვათ, წალეკილია აფხაზეთი ნარკოტიკებით, აფხაზური

ეთნოსის კრიმინალიზაცია აქტიურ ფაზაში შედის და ა. შ. რაც ამ ხალხის გადაშენებაზე მიანიშნებს და, სამწუხაროდ, შემაკავებელი ფაქტორები არსად ჩანს...

ჩემი საუბარი, თავისთავად ცხადია, არ გახლავთ ანტისომხური ისტერიის გაჩაღების მცდელობა, უბრალოდ, ეს არის რეალობა. ჩვენ კი, საქართველოში, ვერაფრით შევძელით ეროვნული ინტერესების გამოხატვის ცენტრის შექმნა, რომელიც რეკომენდაციებს გაუწევდა ხელისუფლებას, თავს მოუყრიდა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძალებს, მისცემდა სახელმწიფო სტრუქტურებს გარკვეულ რჩევებს, რაც იმის გარანტი იქნებოდა, რომ, ან გაიმარჯვებ, ან დამარცხდები. უბრალო ლოგიკაა: ბრძოლაში ხმლით რომ მიდიხარ, ან წააგებ, ან მოიგებ, მაგრამ საერთოდ უხმლოდ რომ მიდიხარ, უეჭველად წააგებ. ასეთ უხმლოდ მებრძოლთა მდგომარეობაში ვართ ჩვენ.

იმ დონეზე გამოასულელეს ხალხი კონტროლირებადი მედიასაშუალებებით, რომ საუბარი მიმდინარეობს იმაზე: ბრძოლაში ხმალი უნდა გეჭიროს თუ არა საერთოდ. ანუ რუსეთთან დალაპარაკება ცუდია. მედიის 20% ლაპარაკობს იმაზე, რომ მარტო არ უნდა დაველაპარაკოთ რუსეთს. ამაზე საუბრები იმდენად სამარცხვინოა, რომ აღარც მინდა გავაგრძელო. ეს იგივეა, დამნაშავე არასრულწლოვანის დაკითხვის უფლება რომ არ აქვთ მშობლის ან მეურვის გარეშე. გამოდის, ჩვენ არასრულწლოვანი ვართ და უფროსის გარეშე ლაპარაკი გვეკრძალება.

— ეს არასამთავრობოების და ურაპატრიოტების ე.წ. რეკომენდაციებია, ბატონო სოსო...

— და ვინ არიან ეს ე.წ. არასამთავრობოები? თქვენ გგონიათ, მათ ლამაზი თვალებისთვის უხდის ვინმე ხელფასს? მოხვეჭილი აქვთ დადებითი ავტორიტეტი თუ რაიმე სასარგებლო გაუკეთებიათ ოდესმე? ისინი დავალებებს ასრულებენ, იღებენ ანაზღაურებას, ამ შემთხვევაში, იმაში, რომ არ დაუშვან მოლაპარაკება რუსეთსა და საქართველოს შორის, რადგან მოსალოდნელია, შეთანხმების შემთხვევაში, რუსებმა გამოიყენონ, ასე ვთქვათ, ქართული სუბსტრატი და გარკვეული სახის დათმობებზე წამოვიდნენ. შეიძლება არც მოხდეს ასე, მაგრამ, რომ მოხდეს?

რუსეთშიც უდიდესი გავლენა აქვთ სომხებს. საქართველოს საკითხი მიბარებული აქვს ლავროვს, რომელიც, სინამდვილეში, ქალანთაროვია.

რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ-საბანკო-საინფორმაციო-საექსპერტო სივრცეში არაპროპორციულად დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი სომხური ეროვნების წარმომადგენლები.

შესაბამისად, რუსეთშიც მიმდინარეობს მუშაობა, რომ ჩვენი მოლაპარაკებები არ შედგეს, ანუ ორმხრივად კეტავენ ამ, ჩვენთვის აუცილებლად საჭირო საკითხს. აღნიშნულ საკითხში ჩვენ, ფაქტობრივად, მოკავშირე არ გვყავს. ჩვენი ფასი ერთი ქართული გამონათქვამისნაირად „ქათმის ფასს“ უტოლდება — ღორი დაკლეს, მე დამაკლეს, ხარი დაკლეს, მე დამაკლესო. ჩვენი ფასი კვლავ ის რჩება, რა ფასიც დაგვაკისრა „ბაზარზე“ მიხეილ სააკაშვილმა. ანალოგიური ფასი გვადევს დღესაც. ეს არის ყველაზე დამამცირებელი როლი რუსეთის ვითომ მამხილებელი სააკაშვილის.

2008 წელს რუსეთი თბილისში რომ შემოჭრილიყო, რუსეთს მსოფლიოში ერთმორწმუნე დემოკრატი ქვეყნისთვის გენოციდის მომწყობის სახელი დაერქმეოდა. ამ მოვლენების ღრმა ანალიზზე მარტო საქართველოში არ ლაპარაკობენ, თორემ მსოფლიოში დიდი ხანია წერენ.

რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს ე.წ. ანაკონდას რკალის შემორტყმის პროცესი და საქართველო, სხვათა შორის, ამ გეგმის განხორციელების ერთ-ერთ ნაწილად აღიქმება. თუ გონიერებას არ გამოვიჩენთ, ვერ გადავრჩებით ამ სასტიკ გეოპოლიტიკურ დოლაბებში და ჩვენი გარდაცვალების გამო არავინ ტირილს არ დაიწყებს.

— ბატონო სოსო, ეკლესია იყო და კვლავ რჩება ერთადერთ ინსტიტუტად, რომელსაც ენდობოდა ხალხი. ახლა მძიმე პროცესები მიმდინარეობს ეკლესიაში. ფაქტობრივად, ეკლესიის რღვევა ხდება. პატრიარქის მიერ თანამოსაყდრის გამოცხადებამ კი რაღაცნაირი კატალიზატორის ფუნქციაც შეიძინა და ბევრი რამ ზედაპირზე ამოიტანა.

— ბოლო ხანებში ვიხილეთ მეუფეების ვიზიტები ამერიკაში.

მათი საოცარი განცხადებებიც „რუსთავი-2“-ზე, სადაც, ფაქტობრივად, ავანგარდში დგანან. იქ ამბობენ აღსარებებს გვარამია-გაბუნიას ოლარის ქვეშ.

“მორწმუნე ადამიანების რიგს განვეკუთვნები და ვარ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი, — ამბობს ნიკა გვარამია და დასძენს, პატრიარქმა მითხრა: იმდენ სიკეთეს, რამდენსაც თქვენ აკეთებთ ქვეყნისათვის, ძალიან ცოტა ვინმე თუ აკეთებს და ძალიან დიდი იმედი მაქვს, ყველაფერს გააკეთებთ, რომ ქვეყანას რამე ეშველოსო”.

„სხვათა შორის, „რუსთავი 2“-ის ღვაწლს მღვდელმთავრები პირად საუბრებში ყოველთვის აღნიშნავენო”, — დასძენს ნოდარ მელაძე.

ასეთი ღრმადმორწმუნე და ღვთივსულიერი ადამიანები არიან ნიკა და ნოდარი და თვით გიორგი გაბუნიაც.

ეს, უბრალოდ, სასაცილოც არ არის, მაგრამ მწარე ირონიის გარდა, აღარ ვიცი, რაღა დაგვრჩენია.

„ვაჰ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა“.

რაც შეეხება **მეუფე შიოს**, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის ბერი გახლავთ. არ მიუღია მონაწილეობა არც ერთ ზნეობრივად დამღუპველ პროცესში, რაც ბოლო წლებში საპატრიარქოში მიმდინარეობდა. მეუფე შიოზე არ არსებობს კომპრომატები, რაც ამ რეალობაში იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს. მას, ჩემი აზრით, მთელმა საქართველომ უნდა დაუჭიროს მხარი, თორემ ჩვენს წინაშე დგას რეალობა — ეკლესიის მიმართ ხალხი სრულად დაკარგავს ნდობას და საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია, ღმერთმა დაგვიფაროს და, დაიშლება, ხოლო ნანგრევებში სწორედ ის მღვდელთმთავრები მოჰყვებიან უპირველესად, რომლებიც მტრობენ ქვეყანას და ეკლესიას და თავის დროზე მოეთხოვებათ კიდევაც ამის გამო.

— ვისზე საუბრობთ, ბატონო სოსო?

— ასეთი ბევრია. კონკრეტულად, მეუფე პეტრე ცაავა და მეუფე აბრაამ გარმელია „რუსთავი-2“-ზე რომ ყელყელაობენ, თუმცა ქრისტე არ ახსოვთ, სამშობლოზე რომ არაფერი ვთქვათ...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

შენი სკოლა ამაყობს შენით!

სკოლის მოსწავლეების დაჭრის, ჩხუბის, მოკვლის საზარელი ისტორიების შემდეგ, ყოველთვის თვალი გამირბის მოზარდებისკენ, საკმარისია რამდენიმე ერთად დავინახო და მექნიკურად, ვაკვირდები: ხომ არ ჩხუბობენ, ხომ არ კამათობენ?

აღმაშენებელზე რამდენიმე მოსწავლე შევნიშნე ერთად შეკრებილი, გაცხარებით საუბრობდნენ, ნაბიჯი შევანელე, თასმისკენ დავიხარე, თან ვცდილობ მოვისმინო, რაზე საუბრობენ:

- მე დღეს 20 კილო მოვიტანე, მაგრამ ნიას მამამ 100 კილომდე მაინც მოიტანა.

- მეც მაქვს სახლში ერთი ყუთი გადადებული.

- კი მესამე ადგილზე ვართ, მაგრამ სულ რაღაც 30 ქულით ვუსწრებთ მეოთხე ადგილს და ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოვრჩეთ.

- აუ, რამდენიმე ქულა, ტელეფონი რომ დაგრჩა ჩართული გაკვეთილზე, იმისთვისაც დაგვაკლეს.

დირექტორი მაგდა ბარამიძე და სალომე შენგელაია

დედების კონკურსში გამარჯვებული გუნდი

– შენ რომ დავალება არ გეწერა, რა გგონია, მაგის გამო არ დააკლდა მთელ კლასს ქულა? ბიჭო, გადაიწერე მაინც, ან მოგვწერე და დაგაწერინებთ.

ვა, რა კილოგრამები, რისი მიტანა, რომელი ქულები? რა ადგილი? ჯერ რაღაც თავანი მეგონა, მერე კლასი და დავალებაო, რომ ახსენეს – უფრო დავიბენი. გადავწყვიტე მეკითხე. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. თბილისის 23-ე საჯარო სკოლის მერვეკლასელები აღმოჩნდნენ ბავშვები. კილოგრამებით – მაკულატურის შეგროვებას ითვლიდნენ, ქულებით კი – სკოლის დირექტორის მიერ დაწესებულ აქტივობებში გამარჯვებას.

როგორც გავარკვიე, 23-ე საჯარო სკოლა საკუთარ პროექტ „რეიტინგს“ – ახორციელებს უკვე წელიწადია. ეს არის ნაკრები სახალისო აქტივობების, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობს რიგი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

როგორც დირექტორი მაგდა ბარამიძე ამბობს: ეს აქტივობები, გარდა უნარ-ჩვევების გამომუშავებისა, აუმჯობესებს სწავლისა და დისციპლინის ხარისხს მოსწავლეებს შორის.

მაგალითად, სპიკერების კონკურსი – აკადემიური აქტივობა – ამ კუნკურსმა სპიკერის უნარ-ჩვევების მქონე ბავშვები წარმოაჩინა. თითო კლასს უნდა წარმოედგინა თითო სპიკერი: ბავშვები იწყებდნენ საუბარს ფრაზით: ჩემი აზრით – და შემდეგ ავრცობდნენ, რეგლამენტი ჰქონდათ 15 წუთი და მათ აფასებდნენ სკოლის მასწავლებლები, უფროსკლასელები და მოწვეული სტუმრები.

პროექტში მონაწილეობენ მე-7-დან მე-10 კლასის ჩათვლით მოსწავლეები – მაგრამ სხვა კლასებიც ჩართული არიან. უფროსკლასელები – შეფასების სისტემაში მონაწილეობენ, მსაჯობენ სპორტული შეჯიბრებების დროს.

ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის პირადად, აქტივობა – იზრუნე პატარაზე. პროექტში ჩართული მოსწავლეები უმცროსკლასელებს ეხმარებიან ჩანთების კლასამდე მიტანაში და პირიქით, უკეთებენ სიურპრიზი: ახალი წლის თუ დაბადების დღის მილოცვა, მაგალითად, ფერადი ბუშტებითა და კანფეტებით, დედის დღისთვის დაეხმარნენ მისალოცი ბარათების დაწერაში და ასე შემდეგ.

თავის მხრივ, პატარებმაც მოუმზადეს რამდენჯერმე სიურპიზი უფროსკლასელებს, მადლობის ნიშნად.

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას ემსახურება ერთ-ერთი აქტივობა, რომლის ფარგლებშიც მე-7 და მე-10 კლასელები გაკვეთილს უტარებენ უმცროსკლასელებს. ისინი თავად გეგმავენ გაკვეთილს, შემდეგ უთანხმებენ მასწავლებელს და მეორე ცვლაში ატარებენ უმცროსკლასელებისთვის გაკვეთილს. ჩემდა გასაოცრად, ამ აქტივობაში ბიჭების ჩართულობა ძალიან მაღალია. როგორც დირექტორმა მაგდა ბარაბიძემ მიამბო: უმეტესობას ისეთი სტრუქტურიზებული გაკვეთილი ჰქონდა, გამოცდილ პედაგოგსაც შეშურდებოდა.

„მოუარე შენს სკოლა“ – მოსწავლეებმა გაზაფხულის დადგომისთანავე მოხატეს მთელი მესამე სართულის ფანჯრები. შემდეგ გაასუფთავენებ და თავიდან, თემატურად მოხატავენ. საახალწლოდ, ყველა კლასმა თავისებურად და საკუთარი ხელებით მორთო საკუთარი კლასი. ერთ დღეს, შეიძლება ადრე მოვიდნენ და მთელი სართული დაალაგონ – მოვა სკოლის დამლაგებელი და დალაგებული ხვდება.

„სიკეთის ბუმერანგი“ – ესეც, ჩემთვის ყველაზე საინტერესო აქტივობაა: ერთი კლასი თავის წილ სიკეთეს დადებს თუ არა ქვაზე, მეორე კლასს გამოიწვევს, ის მეორე მესამეს და ასე ატრიალებენ ბავშვები სიკეთის ტკბილ და თბილ სუნს სკოლაში. სიკეთის გამოწვევების ვიდეოები სკოლის ფეისბუქგვერდზე დაიდება.

ამ მომენტისათვის 20 სასწავლო, საგნობრივი პროექტი მიმდინარეობს. მასწავლებელი აძლევს კლასს სასწავლო პროექტს და შემდეგ კათედრები აფასებენ 10-დან 100 ქულამდე. ეს პროექტი უშუალოდ საგნის ცოდნაზეა ორიენტირებული.

პარალელურად ტარდება მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. ჩატარდა ფოტოკონკურსი: ჩემი თვალით დანახული მომავალი.

მალე დაიწყება ინტელექტუალურ-გასართობი შოუ „განძის ძიება“. სკოლა გეგმავს, მიმანიშნებელი სიტყვებისა და გამოცანების მიმფანტვას ახალი აღმაშენებლის ფეხმავალ ნაწილზე. ასე ბავშვები სახალისო თამაშის გარდა – საცხოვრებელ ადგილსა და უბანსაც შეისწავლიან.

რაც შეეხება „სადამსჯელო“ ქულებს, ანუ მინუს ქულებს – ისინი იწერება დისციპლინარულ გადაცდომებზე, დაგვიანებისას, საშინაო დავალებისა და სასკოლო ნივთების არქონის დროს (რა თქმა უნდა, დავალებები და ნივთები სპონტანურად მოწმდება).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მზარდამჭერთა კლუბს – მშობლების აქტივობებს, ცალკე ტარდება დედებისთვის აქტივობები და კონკურსები, ცალკე მამებისათვის. სულ მალე იგეგმება „მამების ფეხბურთი“. ბავშვები და მშობლები აქტიურად აგროვებენ მაკულატურას – მაკულატურით მოგროვებული თანხით უკვე შეიძინეს ბავშვებმა სკოლისთვის – პროექტორი.

გამარჯვებული კლასი მიიღებს „ოცნების საკლასო ოთახს“ – რომელიც იქნება ყველაზე მაგრად აღჭურვილი კლასი.

გულდაწყვეტილი არც მეორე და მესამე ადგილზე გასული კლასები დარჩებიან.

სკოლის ფეისბუქგვერდზე ყოველდღიურად იდება სიახლეები, ყოველდღიურად ულოცავენ დაბადების დღეებს მოსწავლეებს, ყოფილი მოსწავლეების წარმატებებზე წერენ, ამჟამინდელი მოსწავლეების მიღწევებზე: მაგალითად, ახლა მთელი სკოლა თალს ადევნებს ალექსანდრე შვანგირაძეს – რომელიც ჩონგბურთის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობს.

შენი სკოლა ამაყობს შენით! – ეს სკოლის სლოგანია. დირექტორის თქმით, იგი თითოეული მოსწავლით ამაყობს: სკოლა არ არის მხოლოდ აკადემიური განათლება, მოსწავლეებმა უნდა გამომიმუშაონ საჭირო უნარ-ჩვევები, სკოლა უნდა დაეხმაროს მათ, თავი წარმოიჩინონ სპორტში, მოაწყონ გამოფენები, განახორციელონ პროექტები. ნახონ რა მადლი და სიამოვნებაა, ადამიანების დახმარება. მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა იზრდებოდნენ პიროვნულად და მუდმივად უნდა ვითარდებოდნენ და ამის საწყისი სკოლამ უნდა მისცეს. უმარავი გამოხმაურება გვაქვს მშობლებისგან, ბავშვები ყოველდღიურად ამოწშებენ სკოლის გვერდს. ჩემთვის მთავარია, საინტერესო და სასარგებლო გახდეს სკოლაში ყოფნა. ბავშვების ბედნიერი სახეების დანახვაზე უკეთესი არაფერია.

მშობელი თამარ ჭანტურია: ასე ახლოს ჩემს შვილთან არასოდეს ვყოფილვარ, სულ უფრო ხშირად ვსაუბრობთ სკოლაზე და სკოლის პროექტებზე. დედების კონკურსში ჩვენმა კლასმა გაიმარჯვა. კონკურსამდე ყველა წვრილმანში მედგა შვილი გვერდით, მეხმარებოდა, აზრს მიზიარებდა. ნათქვამი გვქონდა, რომ მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება. მაგრამ, ისეთი ბედნიერი იყო, ისეთი ამაყი იყო, რომ გავიმარჯვეთ – ეს ემოცია მთელი ცხოვრება გამყვება. ყველაზე მთავარი მაინც ურთიერთობაა, მშობლისა და შვილის ურთერთობა საერთო საქმისთვის, ყველამ იცით, როგორი იშვიათი გახდა კომპიუტერისა და ტელეფონების საუკუნეში, ადამიანური ურთიერთობები და პატარა ბავშვივით მიხარია, რომ მე და ჩემს შვილს საერთო საქმე გვაქვს და ეს საერთო საქმე – ჩემი შვილის სკოლაა, ჩვენი სკოლაა.

რა უნდა დავამატო – ალბათ, უნდა ვთქვა: რომ ბავშვი, რომელიც სკოლაში სწავლობს სიკეთის კეთებას, უმცროსის დახმარებას და უფროსის პატივისცემას – კარგი ადამიანი გაიზრდება. ბავშვი, რომელიც დედის სიყვარულს უზიარებს მასზე პატარას, მეტად შეძლებს ოჯახის და მშობლების დაფასებას. ბავშვს, რომელსაც არ სჭირდება სკოლის გარეთ ათას წრეზე სირბილი, საკუთარი ნიჭის გამოსავლენად და წარმატების მისაღწევად, რომელიც საკუთარი სკოლის კედლებში აწყობს გამოფენას – მეტი დრო დარჩება მშობელისა და მეგობრებისთვის და მეტი მოტივაცია გაუჩნდება სწავლის.

ალბათ, სხვა სკოლებზეც უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა: ჩემი მეგობრის შვილი, მესამეკლასელი, ყოველ დღე ითხოვს სკოლაში დავალების შემოწშებას – ამბობს, რა აზრი აქვს თემის დაწერას, თუ მასწავლებელი არც კითულობს და ვერც ვიგებ, სწორად მიწერია, თუ არაო. მეორე მეგობრის შვილის პედაგოგი – ძარღვების დაჭიმვამდე ყვირის გაკვეთილზე და ურჩ, უსახურ, ცუდ მომავალზე საუბრით ასრულებს მშობელთა კრებას. მესამე მეგობრის შვილის მასწავლებელმა – ფეხებზე მკიდია, თუ არც ისწავლიანო.

არ არის ჩვენი თაობა არც ურჩი, არც უსახური, არც ცუდი. პირიქით, ძალიან რთულ ვითარებაში იბრძვიან განათლების მისაღებად – დარბიან რეპეტიტორებთან, ემზადებიან საგნებში, რომლებშიც სკოლა ვერ აძლევს განათლებას, ეხვეწებიან მასწავლებლებს დავალებების შემოწშებას.

ხოდა, მიბაძეთ, მიბაძეთ ადამიანებს, რომლებმაც ამ ყველასათვის რთულ პირობებში, გზა იპოვნეს მომავალი თაობის წასახალისებლად, ადამიანებად გასაზრდელად – გადასარჩენი გზა იპოვნეს.

მართალია, პროექტი ქალბატონ მაგდა ბარამიძეს ეკუთვნის, მაგრამ, რომ არა მასწავლებლები, რომ არა ტექნიკური სამსახური სკოლის, რომ არა მანდატურები და დამლაგებლებიც კი – მარტო მის განხორციელებად ვერ შეძლებდა.

მეტი ბედნიერი ბავშვი ჩვენს გვერდით!

მეტი სკოლა, რომელიც საკუთარი მოსწავლეებით იამაყებს!

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

მამისა ჯაფარაშვილი:

კახეთში არაბი ინვესტორების უკან ქართველები დგანან

საგაზაფხულო ხვნა-თესვის სეზონს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში გლეხები თოხითა და ბარით, ზოგან კი ლოზუნგებითა და საპროტესტო აქციებით ხვდებიან. სიღნაღის რაიონში უცხოელებზე გაყიდული მიწის დაბრუნების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა. რა პრობლემებს უქმნის კახეთის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო მიწების გასხვისება და ვინ დგას ქართული მიწის შეძენით დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების უკან? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს“ უსამართლობის მსხვერპლთა დაცვის სახალხო კომიტეტის ხელმძღვანელი, სახალხო ტრიბუნების პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი ესაუბრა:

— კახეთის რეგიონში მიწის უცხოელებზე გასხვისების შედეგად უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. წარმოიდგინეთ, გაზაფხული მოვიდა და კახელ გლეხს მიწა არა აქვს, რომ დაამუშაოს და მოსავალი მოიწიოს. წლების წინ, სოფელ ილიაწმინდაში 1500 ჰექტარზე ახალი ჯიშების გამოყვანის სელექციური ცენტრი იყო განთავსებული. 2010 წელს, სააკაშვილის ხელისუფლების დროს, ეს მიწები აგრარული კომიტეტის თავმჯდომარემ, პარლამენტარმა არჩილ გეგენავამ შეისყიდა და 2012 წელს შპს „აგროვესტს“ გადაუფორმა, რომლის დამფუძნებელი და დირექტორი სამეჰ რეჰად ავად ჰაბიბი გახლავთ. წარმოიდგინეთ, 170 000 ჰექტარი, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობდა, 300 000 ლარად გაყიდეს, თანაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის არც შეუთავაზებიათ, იქნებ მიწის ყიდვის სურვილი მათაც ჰქონდათ. ქართული მიწა ჩალის ფასად ისე გაანიავეს, თითქოს ბაბუას დანატოვარი ქონება იყო. არაბი ინვესტორის სოფელში შემოსვლის შემდეგ, ილიაწმინდელთა ცხოვრება აუტანელი გახდა. არაბებმა სიღნაღში მონათმფლობელური წყობა დააბრუნეს და ადგილობრივები მონებად აქციეს. ადამიანებს საკუთარ მიწაზე გავლის და საქონლის საძოვარზე გაშვების უფლებას არ აძლევენ. მოსახლეობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ოჯახებიანად ქვეყნიდან გაქცევაზე ფიქრობენ. წინა ინტერვიუში გითხარით, რომ არაბმა ადგილობრივ მოსახლეს ცოლი წაართვა და სამი შვილი უდედოდ დატოვეს. იმ ქალის ასავალ-დასავალი დღემდე არავინ იცის და ბავშვები უდედოდ იზრდებიან, მაგრამ გადამთიელის უსაქციელობაზე საწყენი თანამოძმისგან გაწირვაა. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, უცხოელი ინვესტორების უკან ქართველი მაღალჩინოსნები დგანან და გაყიდული მიწების რეალურ მეპატრონეებად გვევლინებიან.

— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

— ერთი კვირის წინ ილიაწმინდაში გაყიდული მიწის ხალხისთვის დაბრუნების მოთხოვნით აქცია ჩავატარეთ. აქციაზე 200-ზე მეტი ადგილობრივი მოვიდა და რაიონის ცენტრისკენ დავიძარით. აქციის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარეს ილია ხატიაშვილს და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შევხვდი და ვუთხარი, რომ მიწა ხელისუფლებების კი არა, ქვეყნის და ხალხის საკუთრებაა, ამიტომ სოფლის მოსახლეობა არაბი ინვესტორისგან მიწის გამოსყიდვის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებს. ავუხსენი, რომ მიწის გარეშე დარჩენილი სოფლები მოსახლეობისგან დაიცლება, რაც მომაკვდავ ერთა სიაში შესული ქვეყნისთვის კატასტროფის ტოლფასია. პასუხად, საკრებულოს თავმჯდომარემ სისხლიან ცხრა წელზე დაიწყო საუბარი, სოფელი მაღაროს გამგებელმა თენგიზ შაიშმელაშვილმა კი პირდაპირ მითხრა ამ მიწის წილში ჰაბიბის გარდა, სამი ქართველი ვართ, ამიტომ არაბის კი არა, ჩემი ქონება მადარდებსო. ეს სიტყვები ჩემს გარდა, რამდენიმე ადამიანმა მოისმინა და ნებისმიერი დაადასტურებს. მთელმა კახეთმა იცის, რომ ეს ადამიანი. სააკაშვილის დროს კი ნაციონალების მხარდამჭერი იყო და კარგად იცის, როგორ მოხდა ამ მიწის ჯერ ნაციონალებისთვის და მერე არაბებისთვის მიყიდვა. რა თქმა უნდა, გამგებელმა არ დააკონკრეტა რომელ სამ ქართველს გულისხმობდა, მაგრამ მისი სიტყვებიდან ჩანს, გამოდის, რომ არაბი ინვესტორი უბრალოდ, „შირმაა“ და მიწის რეალური მესაკუთრეები ქართველები არიან. ეს უკვე ტენდენციად იქცა. უცხოელის ინვესტორის საკუთრების უფლებაზე საუბრობენ, სინამდვილეში კი თავიანთ ქონებას უფრთხილდებიან.

— ჰაბიბი თუ მიწის ფიქტიური მესაკუთრეა, ილიაწმინდაში არაბებს რა ესაქმებათ?

— არაბი რას კარგავს, რომ მიწის 30% მისი იყოს და დანარჩენი სხვისი? კახეთის ნაყოფიერ მიწებზე მოსავლის მოყვანა ორჯერ არის შესაძლებელი და მაინც მოგებულია. რა თქმა უნდა, მაღაროს გამგებლის უკან, რომელიც იდეური ნაციონალი გახლავთ, ხელისუფლების გავლენიანი პერსონები დგანან და საერთოდ, კახეთს დღეს კლანები მართავენ. დარწმუნებული ვარ და ამის მტკიცებულებებიც გამაჩნია, რომ ამ საქმეში ყოფილი თუ მოქმედი მაღალჩინოსნების ხელი ურევია და უცხოური ინვესტიციების ამოფარებულები ხალხის მიწას ეპატრონებიან. დღეს იქნება თუ ხვალ, ეს არაბები 30% არ დაჯერდებიან, მეწილეებს გაყრიან და ქართულ მიწებს მთლიანად ხელში ჩაიგდებენ. ჩვენ აქციის შემდეგ არაბი ინვესტორის წარმომადგენელსაც შევხვდით, მუშებსაც გავესაუბრეთ და საწყობებიც დავათვალიერეთ. არაბის საწყობები ჩვენს მიწაზე მოყვანილი ხორბალითა და ქერით სავსეა, როცა ჩვენს მოსახლეობას პურის ფული არა აქვს და შიმშილით კვდება.

— მოსავალი ქვეყნიდან გააქვთ თუ საქართველოს ბაზარზე იყიდება?

— ამის გარკვევა ვცადე, მაგრამ არავინ მიპასუხა. არ გამოვრიცხავ, რომ ქვეყნიდან გაჰქონდეთ. ჩვენ უკვე მიგვაჩვიეს, რომ ჩვენი პროდუქცია ქვეყნიდან გააქვთ და უცხოეთიდან შემოტანილ ნაგავს გვაჭმევენ. კახეთი საქართველოს ბეღელი იყო, სადაც ხორბალი და ქერი მოდიოდა და კახელ გლეხს ეს თუ წაართვეს, რაღა დარჩება? თუ ხელისუფლება ხალხის გასაჭირს ყურთან არ მიიტანს, ცუდი პროცესები დაიწყება და გაჩნდება ძალა, რომელიც ხელისუფლებას გაყიდული მიწების უკან დაბრუნებას აიძულებს.

— 14 მარტს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის „ბოლო საცხოვრისის მიმართ იძულებითი აღსრულების შესახებ“ კანონპროექტის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა, რომლის წევრიც ბრძანდებით. შედეგებით კმაყოფილი ხართ?

— როგორც იცით ჩვენი შემუშავებული პროექტი, რომელიც ინიცირებისთვის „პატრიოტთა ალიანსს“ გადავეცით, მოქალაქების უსახლკაროდ დარჩენისგან დაცვას და კრედიტორსა და მევალეს შორის ურთიერთობების დაბალანსებას ითვალისწინებს. საზოგადოების უდიდესი ინტერესის მიუხედავად, 14 მარტის სხდომა მედიისთვის დახურული იყო. ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ სამუშაო ჯგუფის წევრებს შესთავაზა ტერმინების დეფინიციასთან დაკავშირებით, წინადადებები უახლოესი დღეებში წარმოადგინონ და მორიგი შეხვედრა ორი კვირის შემდეგ შედგეს. წესით, კანონპროექტზე მუშაობა მაისის ბოლომდე უნდა დამთავრდეს, მაგრამ პირველად რომ შევიკრიბეთ, მაშინაც მორიგი შეხვედრა ორ კვირაში უნდა შემდგარიყო და სამ თვეზე მეტი გავიდა. ამ სამ თვეში უამრავი ადამიანი გამოასახლეს, ამიტომ ყოველი დღე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ბანკების ინტერესს, ამჯერად, მათ ფული ნაკლებად აინტერესებთ და ქონების წართმევაზე არიან ორიენტირებული.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ რას გულისხმობთ?

— კრიპტოვალუტის გაძლიერების შემდეგ, შორს არაა ის დღე, როცა უძრავი ქონება ერთადერთი რეალური ფასეულობა გახდება. ეს არის კრიპტობაზრისა და ბანკების ომი, რომელსაც მოქალაქეები ეწირებიან. დარწმუნებული ვარ, როცა ეს დრო დადგება, კაპიკებში წართმეული ქონება შეუფასებელი გახდება, ამიტომ საზოგადოებამ უძრავი ქონების შენარჩუნებისა და დაბრუნებისთვის უნდა იბრძოლოს. რამდენიმე დღის წინ ბორჯომში ვიყავი და გავიგე, რომ მთელი მიტარბი ხაზარაძეს უყიდია. ტიმოთეს უბანშიც ათასობით ჰექტარი მიწა გაიყიდა. ათასობით ჰექტარი კასპში, ჩინელებს მიყიდეს, ოზურგეთიდანაც დაგვირეკეს, ადგილობრივმა თვითმმართველობამ მიწა გაყიდაო და რაღა დარჩა? გავიძახით, რომ საქართველოს მიწების 20% რუსეთის მიერ ოკუპირებულია, დანარჩენს კი უცხოელი ინვესტორები გვართმევენ. მილიონ ნახევარი ქართველი საზღვარგარეთ, ლუკმა პურის საშოვნელადაა გაქცეული და ამ დროს, საქართველო რამდენიმე ფეოდალის ხელშია. ამ ადამიანებს ერის ბედი და მომავალი არ ადარდებთ და მტაცებლებივით, იმის ფიქრში არიან რა წაგლიჯონ ქვეყანას. მიწის გაყიდვაზე ისეთი სასჯელი უნდა იყოს, რომ გულში ვერავინ გაივლოს ამის გაკეთება. ამიტომ ჩვენ ვაპირებთ ხელმოწერების შეგროვებას და პარლამენტის აგრარული კომიტეტისთვის მიმართვას. სასწრაფოდ უნდა დაიწყოს სახელმწიფოსთან მოლაპარაკება უცხოელებზე გასხვისებული მიწის გამოსყიდვაზე, თორემ მალე გვიან იქნება.

ნელი თორდია
571 35 36 88

დიდი ცვლილებების კვირეული

გასულ კვირას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ ბაშარ ასადი და, საერთოდ, სირიის ხელისუფლება პირდაპირ დაადანაშაულა მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდში. ბრალდებების შემდეგ დიპლომატი პირდაპირ მუქარაზე გადავიდა და განაცხადა, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალები განახორციელებდნენ შეტევას დამასკოზე ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ. ნიკი ჰეილის მკვახე გამოსვლამ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე მსოფლიოს პოლიტოლოგების შეშფოთება გამოიწვია. მათი თქმით, მოვლენების განცხადებული სცენარით განვითარების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია ახალი მსოფლიო ომის პროვოცირება.

ამერიკელ დიპლომატს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსმა გერასიმოვმა უპასუხა. საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ დამასკოში იმყოფებიან რუსი დიპლომატები თავიანთი ოჯახებით, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის, სამხედრო ინსტრუქტორები. არმიის გენერლის განცხადებით, აშშ-ის შეტევის შედეგად ადვილი შესაძლებელი იყო, ისინიც დაზარალებულიყვნენ. ამიტომ რუსი სამხედროები მიიღებდნენ საპასუხო ზომებს და გაანადგურებდნენ ამერიკულ რაკეტებს და, მასთან ერთად, ტექნიკასაც, რომლის მეჩვეობითაც მიიტანდნენ ქალაქზე შეტევას. საბედნიეროდ, ამერიკულმა მხარემ გადაიფიქრა და ჯერჯერობით დამასკოზე შეტევა არ განუხორციელებია. მიუხედავად ამისა, ექსპერტები სირიაში არსებულ ვითარებას კარიბის კრიზისს ადარებენ.

პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აგრძელებს მაღალი თანამდებობის ჩინოსნების ცვლილებებს, გასულ კვირას ტრამპმა თანამდებობა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელს რექს ტილერსონს დაატოვებინა თავის მოადგილესთან ერთად. ტილერსონი 39-ე თანამდებობის პირი აღმოჩნდა, რომელიც ტრამპმა გაათავისუფლა. აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი თავად პრეზიდენტის დანიშნული იყო თანამდებობაზე.

რექს ტილერსონის გადაყენებაზე ამერიკულ პრესაში ჯერ კიდევ შარშან შემოდგომით საუბრობდნენ. მიმომხილველები ღიად აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტს და სახელმწიფო მდივანს საგარეო პოლიტიკაში რადიკალურად განსხვავებული ხედვა ჰქონდათ. ერთ-ერთად ჩრდილოეთ კორეის საკითხს ასახელებდნენ. ტრამპი ძალისმიერ მეთოდებს ანიჭებდა უპირატესობას, მაშინ, როდესაც ტილერსონი დიალოგის მომხრე იყო. ამის გარდა, ირანთან მიმართებაშიც სრულიად განსხვავებული ხედვები ჰქონდათ. და კიდევ, პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელსაც ტრამპი არ ესწრებოდა, ტილერსონმა უდიერად მოიხსენია პრეზიდენტიო. მიუხედავად ყველაფრისა, ტილერსონის თანამდებობიდან გადაყენება მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. თავად სახელმწიფო მდივანი წინა დღით დაბრუნდა აფრიკული ვოიაჟიდან და დილით სოციალური ქსელებით გაიგო თანამდებობიდან თავისი გათავისუფლების შესახებ.

დონალდ ტრამპმა მადლობა გადაუხადა რექს ტილერსონს გაწეული მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ იგი უფრო ბედნიერად და მშვიდად იცხოვრებს სახელმწიფო სამსახურის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ტრამპი ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სოციალური ქსელების მეშვეობით ამცნობს საზოგადოებას, რაც პოლიტოლოგებისა და ექსპერტების გაოცებას იწვევს.

არანაკლებ სენსაციური აღმოჩნდა ტილერსონის შემცვლელის პერსონა. სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დონალდ ტრამპმა ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორი მაიკლ პომპეო დანიშნა. როგორც ამერიკულ პრესაში საუბრობენ, პომპეო ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას ძალისმიერი მეთოდების მომხრეა. ამასთან, ნებისმიერ საკითხში უპირობოდ ეთანხმება ტრამპს. თავად ამერიკელი პოლიტოლოგებიც ვერ ამბობენ, თუ როგორი მიმართულებით წავა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

მაიკლ პომპეო მისმა მოადგილემ ჯინა ხასპელმა ჩაანაცვლა. იგი იქნება პირველი ქალი, რომელიც ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უხელმძღვანელებს. ხასპელი ცსს-ში 30 წელზე მეტია მსახურობს. იგი ტაილანდში ცსს-ის საიდუმლო ციხის უფროსადაც მუშაობდა 2001 წლიდან. დაწესებულებაში, რომელიც პატიმრების არაადამიანური წამებით გახდა განთქმული. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხასპელი პომპეოს მოადგილედ დაინიშნა, სამთავრობო წრეებში ბევრი უკმაყოფილო იყო, რადგან ხასპელს სასტიკი ადამიანის იმიჯი ჰქონდა და აქვს კიდეც. ახლაც, ამერიკელი ჟურნალისტების აზრით, ადვილი შესაძლებელია, კონგრესმა ხასპელის თანამდებობაზე დანიშვნას მხარი არ დაუჭიროს და ჩააგდოს. ახლა იმასაც ამბობენ, რომ ცსს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი რგოლი ხდება. მაიკლ პომპეო ახალ თანამდებობაზე მოღვაწეობას 31 მარტიდან შეუდგება და სწორედ მაშინ გამოჩნდება აშშ-ის საგარეო კურსი.

აშშ-ის სენატის კომისიამ, რომელიც იკვლევდა რუსეთის კვალს ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებში, მუშაობა დაასრულა დონალდ ტრამპისთვის სასურველი შედეგით — კომისიამ ვერ აღმოაჩინა არჩევნებში უცხო ქვეყნის ჩარევის კვალი. ამის შემდეგ დონალდ ტრამპმა კვლავ განაცხადა, რომ რუსულ კვალზე ჭორები მისმა მოწინააღმდეგეებმა და ჰილარი კლინტონმა ააგორესო. თუმცა ასე არ ფიქრობს თანამდებობიდან ახლადგათავისუფლებული გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის მოადგილე, უმცროსი მაკკეინი (კონგრესმენის შვილი) ენდრიუ. გასულ კვირას თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ დაიმუქრა, რომ გამოაქვეყნებს მემუარებს, სადაც აღწერილი იქნება საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევის ფაქტები. საინტერესოა, რომ

ახალგაზრდა კაცი უკვე მემუარებს წერდეს...

ცნობილი გახდა, რომ შაბათს დონალდ ტრამპს გადაწყვეტილი ჰქონდა სპეცპროკურორ მიულერის საგამოძიებო ჯგუფის გაუქმება (რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში რუსულ კვალს იძიებს), მაგრამ თანაპარტიელმა კონგრესმენებმა გადააფიქრებინესო.

მარტის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში რუსეთის ყოფილი მოქალაქე შვილთან ერთად უგონო მდგომარეობაში იპოვეს. მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ქიმიური გაზით იყვნენ მოწამლულები და მათთან ერთად პოლიციელიც დაზარალდა. ინგლისელებმა ფაქტს პოლიტიკური შეფერილობა მისცეს და ქიმიური ნივთიერების სახელიც დაასახელეს — „ნოვიჩოკი“. ნივთიერებაზე მუშაობა საბჭოეთის დროს, უზბეკეთში მიმდინარეობდა. რუსეთის მხარე აცხადებს, რომ ქიმიური ნივთიერება, როგორც იარაღი, მათ არსენალში არ აქვთ, რადგან ჯერ კიდევ 90-იან წლებში სრულიად გავანადგურეთო.

მოწამვლის ფაქტი (თუ ასეთი მართლაც მოხდა) იმით გახდა საინტერესო, რომ დაზარალებული რუსეთის დაზვერვის მთავარი სამმართველოს ყოფილი პოლკოვნიკი სერგეი სკრიპალია. იგი სამშობლოს ღალატის მუხლით იყო გასამართლებული და მოგვიანებით, 2010 წელს რუს მზვერავებში გაცვალეს. ლონდონს რუსეთისთვის არანაირი მტკიცებულება არ წარუდგენია, მათ შორის, არც ქიმიური ნივთიერების ნიმუში. არ ჩართეს გამოძიებაში რუსი ექსპერტები. ინგლისელთა მტკიცებით, რუსეთმა შური იძია ყოფილ მზვერავზეო. თუმცა მათ არ ეთანხმება ისრაელის სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი: „...ინგლისელებს არანაირი ფაქტები არ გააჩნიათ და ვერც ვერაფერს წარმოადგენენ. საერთოდაც, სკრიპალი ყავლგასული აგენტი იყო. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოპერატიული საქმიანობისგან შორს იყო, იგი კადრების განყოფილებაში მუშაობდა. საბჭოთა სპეცსამსახურებმა ცნობილი უკრაინელი ნაცისტი ბანდერა გაზით მოკლეს, მაგრამ გერმანელებმა ვერ გაიგეს სიკვდილის ნამდვილი მიზეზი. გულის შეტევა ეგონათ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ახლაც სპეცსამსახურებს რომ ნდომებოდათ და მოეკლათ კიდეც, კვალს არ დატოვებდნენ, ასეთი კუსტარული მეთოდით არ იმოქმედებდნენ და ცოცხლსაც არ დატოვებდნენ. დასავლეთ ევროპის სპეცსამსახურების სუსტი წერტილი ანალიტიკაა, რომელსაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ეს მათ მუშაობაზეც აისახება“.

მოწამვლის ფაქტი პოლიტიკურ ჭრილში გადაიზარდა — ლონდონის სანქციებით, ინგლისიდან 23 დიპლომატს გააძევებენ. სანქციებს რუსეთმა სარკისებურად უპასუხა — ისინიც ქვეყნიდან 23 დიპლომატს გააძევებენ. ამის გარდა, სანკტ-პეტერბურგში აღარ გახსნიან საკონსულოს და შეაჩერებენ რუსეთში ბრიტანული საბჭოს მუშაობას. ფაქტობრივად, ორ ქვეყანას შორის ცივი ომი დაიწყო. ევროპელი ანალიტიკოსების თქმით, ბრიტანეთის პრემიერს ტერეზა მეის სურს თავისი ქვეყანა გამოიყვანოს ჩიხიდან, რომელშიც ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ აღმოჩნდა და, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩა.

რუსეთში კი საპრეზიდენტო არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი იყო, თითქმის 77 პროცენტით ვლადიმირ პუტინმა გაიმარჯვა. ერთი კი არის ცნობილი, არჩევნების შემდეგ მხოლოდ პრემიერ-მინისტრი შეიცვლება. პოლიტიკური კურსი იგივე დარჩება. ასე რომ, ჩვენმა ხელისუფლებამ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები რეალურად უნდა შეაფასოს.

გია ბურდული
551 71 27 07

მედიტაცია - სინათლე აღმოსავლეთიდან

ევროკავშირში ყოველწლიურად თავს იკლავს ორმოცდაათი ათასზე მეტი მოქალაქე. ამასთან დეპრესიის მწვავე ფორმის მქონეთა თხუთმეტი პროცენტი თავს იკლავს ხოლო მათი ორმოცდათექვსმეტი პროცენტი ცდილობს თავის მოკვლას. ევროკავშირის სრულწლოვანი მოსახლეობის ოცდაშვიდ პროცენტს აწუხებს ესა თუ ის ფსიქიური ავადმყოფობა. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ევროპაში გადაწყვიტეს კომპლექსური ბრძოლა. ბრიუსელმა შეიმუშავა პროგრამა რომელიც გულისხმობს მეცნიერულ გამოკვლევებს და პროფილაქტიკას, თერაპიის და შრომის პირობების გაუმჯობესების თაობაზე კანონმდებლობის სრულყოფას. ვისბადენში ჩატარებული სიმპოზიუმის მონაცემებით გერმანიაში ბოლო ათ წელში სამოცდაორი პროცენტით გაიზარდა ბიულეტენების რაოდენობა, დიაგნოზით „სულიერი დარღვევა“. სწორედ ამიტომ ევროპელმა მეცნიერებმა გაიხსენეს ძველ რომაელთა სიბრძნე **Ex Oriente Lux!!**

აღმოსავლეთიდანაა სინათლე! და თავის საშველად მიმართეს იოგას, მედიტაციის თუ სხვა აღმოსავლურ პრაქტიკებს.

რამოდენიმე წლის წინ, დენვერში ჩატარებულმა პირველმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა ჭვრეტით მეცნიერებებში შეკრიბა შვიდასი მკვლევარი. ერთ წელიწადში გამოქვეყნდა სამასორმოცდაათი წერილი მედიტაციის შედეგებზე. საფრანგეთის საავადმყოფოებში ექიმები მედიტაციას იყენებენ დეპრესიის, სვდა-ნაღველის და ტკივილის სამკურნალოდ. დღეს მედიტაცია დიდადაა პოპულარული.

არსებობს რელიგიური მედიტაცია, მაგრამ არის საერო პრაქტიკაც, სხვადასხვა სამსახურებში, საავადმყოფოებში, ჯარში, ციხეებში, სკოლაში... და ეს მხოლოდ დასაწყისია, ვინაიდან ოციოდე წელია რაც გამოკვლევებმა აჩვენეს მედიტაციის უამრავი სასიკეთო ფსიქოლოგიური თუ სამედიცინო შედეგი. მეტიც, მოქმედი ტვინის შესწავლა გვიჩვენებს რომ მჭვრეტელობითად მიჩნეული ეს პრაქტიკა ღრმად ცვლის მის სტრუქტურას. ემოციების და განწყობების უკეთესად გაგების წყალობით ის გონებას მიმართავს მეტი სიმშვიდისკენ, ყველაზე მეტად, თანაგრძნობისკენ და ალტრუიზმისკენ. სწორედ ესაა მედიტაციის ერთ-ერთი საოცარი ასპექტი. ის თითქოს ყოველ ადამიანს აძლევს პასუხებს მის საკუთარ კითხვებზე როგორებიც არ უნდა იყოს ეს კითხვები და აადვილებს სხვებთან ურთიერთობას.

„არაა ლაპარაკი სხვად გახდომაზე, ტვინით მანიპულაციაზე თუ ამაღლებაზე, ლაპარაკია ჩვენს საკუთარ თავში ჩვენი ადამიანობის ღრმა განზომილების შეცნობაზე“ – ამბობს ბიოლოგი და ბუდისტი ბერი მათიე რიკარი „ყოველ ჩვენთაგან აქვს ჩვენი და სხვათა მტანჯველი გონებრივი მდგომარეობისგან განთავისუფლების, შინაგანი სიმშვიდის პოვნის და კეთილდღეობისთვის ხელის შეწყობის პოტენციალი. მედიტაცია გვეხმარება ამაში”.

ჩვენს დროში, როდესაც ხშირად გვტანჯავს სტრესი, მედიტაციამ შეიძლება გვაპოვნინოს სასურველი ემოციური წონასწორობა. წლების მანძილზე ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევები ადასტურებენ იმას რომ მედიტაცია კარგად მოქმედებს ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობაზე. გვეხმარება არსებობით ტკბობაში. ის გვაძლევს ყოველდღიური აურზაურიდან თავის დაღწევის უნარს.

მეცნიერების და მედიტაციის ეს დაახლოება დაიწყო 1983 -წელს, როდესაც კოგნიტიურ მეცნიერებათა პიონერი, ფრანგი ფრანსისკო ვარელა შეხვდა დალაი ლამას. მათ მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში დააარსეს ინსტიტუტი „გონება და სიცოცხლე“, ცდებმა აჩვენეს რომ განმეორებადი მედიტაცია აძლიერებს კონცენტრაციის უნარს, ყურადღებიანობას. სრულ ცნობიერებაზე დაფუძნებული პროგრამა ამცირებს, ერევა სტრესს, მოუსვენ-

რობას, მწუხარებას, სვდას. ამერიკის შეერთებულ შტატებში იყენებენ სპორტზე და მუსიკათერაპიაზე დაფუძნებულ სტრესის საწინააღმდეგო პროგრამას... მკვლევარებმა აჩვენეს რომ მედიტაცია აძლიერებს იმუნიტეტს, იმუნურ უნარს. 2009- წელს გამოქვეყნებულმს ერთმა ამერიკულმა გამოკვლევამ აჩვენა რომ ყოველდღიური 15–20-წუთიანი მედიტაცია ავჯანსაღებს და აძლიერებს გულს, ამცირებს გულის ავადმყოფობის საფრთხეს. გამოკვლევებმა აჩვენეს რომ თხუთმეტ წუთიანი მედიტაცია დღეში ორჯერ შველის მაღალ წნევას. ...მკვლევართა თანახმად მედიტაცია არის კარგი საშუალება დეპრესიის წინააღმდეგ. მედისონის უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკვლევების თანახმად მედიტაცია აძლიერებს ტკივილის ატანის უნარს, საკუთარ თავთან და სხვებთან უკეთეს დამოკიდებულებას.

სხვა გამოკვლევა აჩვენებს რომ ძენ-ბუდიზმის რეგულარულად მიმდევრებში არ სუსტდება ყურადღების უნარი. არა და ამ უნარის დასუსტდება თან ახლავს დაბერებას. ჯონ კაბატ-ზინ-მედიტაციას შეუძლია ადამიანის სახეობის განვითარება. უნდა ვისწავლოთ არსებობა და მოძრაობა სტრესის მომგვრელ ვითარებებს, არსებობის მწვერვალებსა და დაცემებს შორის.

ტყუილად ფიქრობენ რომ მედიტაცია სამყაროსგან განდგომაა, ამბობს კრისტოფ ანდრე. პირიქით, ის გვასწავლის სამყაროსთან ხელახლა დაკავშირებას. ვუკავშირდებით სამყაროს როგორც სასიამოვნო ისე არასასიამოვნო ასპექტებს ისე რომ ვინარჩუნებთ მოქმედების უნარს. ფაბრის მიდალის თქმით მედიტაციას სპონტანურად მოაქვს ნდობა და კეთილგანწყობა. მედიტაცია გვაძლევს ასევე მეტ უკანდახევას, მეტ იუმორს. ეს გვეხმარება სხვებისკენ და სინამდვილისკენ გახსნაში. ფილოსოფიის დოქტორი ფაბრის მიდალის აზრით დასავლეთისთვის მედიტაცია არის რევოლუცია.

რა თქმა უნდა ადამიანი უკეთ გრძნობს თავს როდესაც მას შესაბამისი პოზა აქვს მიღებული, მაგრამ თუ თქვენ მედიტაციას მიმართავთ ამ მიზნით თქვენ ჩაებმებით ბრძოლაში რომლის მიზანიცაა სიმშვიდის შენარჩუნება...ასე წარმოდგენილი მედიტაცია არის თანამედროვე ბარბაროსობის ნაწილი-ვიყოთ უფრო ეფექტურები მედიტაციის წყალობით. აღარ იქნებით შეშფოთებულნი, სევდიანნი დასტრესილნი. არადა რევოლუცია რომელსაც ის სთავაზობს დასავლეთს არის ახლებური დამოკიდებულება საკუთარ თავთან და სამყაროსთან.

კრისტოფ ანდრეს თქმით სრული ცნობიერების მედიტაცია ადვილია. ისაა ყურადღების მიპყრობა აწმყოსთვის და აქაურობისთვის. ის ხელმისაწვდომია ყველასთვის ზოგი ფსიქიური ავადმყოფობებით დაავადებულთა გარდა.

ფიქრებზე დაკვირვება გვიჩვენებს რომ მედიტაცია არის ცნობიერების ელემენტი და არა ცნობი-

ერება მთლიანად. თქმა იმისა რომ ჩემი ცხოვრება ნაღვლიანია ერთია და თქმა იმისა რომ მე ვფიქრობ რომ ჩემი ცხოვრება ნაღვლიანია-სხვაა. ფაბრის მიდალი აზუსტებს რომ საკუთარ ფიქრებში ჩაძირვისას ამას ხედავთ კეთილგანწყობით, განსჯის გარეშე, და უკან ბრუნდებითარაფერი იცვლება იმით თქვენ დაბრუნდებით ორჯერ, ექვსჯერ, ასჯერ, თუ ათასჯერ.მედიტაცია არის დანახვა იმისა რომ საკუთარ აზრებში დაკარგვა განსხვავდება აწმყოსთან კონტაქტისგან. მოლოდინები, უარსაყოფი რეფლექსები, ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ჩვენ მიჩვეულები ვართ გამიზნულად, მიზნებით მოქმედებას.

მედიტაცია არის შინაგანი, შიდა თავგადასავალი. ამოფრქვეული აზრები, განცდები და შეგრძნებები ბევრ რამეს გვასწავლიან ჩვენი სულისა და სამყაროში არსებობის ჩვენეული ფორმის შესახებ. მათ უნდა მივცეთ გამოვლენისთვის აუცილებელი სივრცე და, მაშ, უნდა დავივიწყოთ მოლოდინები და მიზნები. სულ მცირე ჩავინიშნოთ მათი არსებობა და გადავდოთ გვერდზე. ფაბრის მიდალის თქმით არ არსებობს წარმატებული თუ წარუმატებელი მედიტაცია. მედიტაცია არ ემსახურება არაფერს სარგებლობის ჩვეულებრივი, მოარული მნიშვნელობითმედიტაციას რა თქმა უნდა მოაქვს სარგებლობა და სიკეთე მაგრამ მიზნად შედეგის დასახვა ზღუდავს და ამცირებს მედიტაციის მნიშვნელობას. ეს ჰგავს მეგობრის ნახვას. მარტოობა მოქმედებს განწყობაზე და ჯანმრთელობაზე მაგრამ მეგობრის სანახავად არ წავალთ უტილიტარული მიზნით. ამის გაკეთება საშინელება იქნება და შედეგიც სულაც არ იქნება გარანტირებული. მედიტაციაც იგივეა. მაგრამ ზოგჯერ საკმაოდ სწრაფადაც კი ჩნდება მისი სასიკეთო ნაყოფიც. ფაბრის მიდალის თქმით ეს ჰგავს შხაპს სულისთვის. ყველაფერი, ჩვენი აღქმა, ჩვენი აზრები ცოტა უფრო ცოცხლდება. ჩვენ ზავს ვდებთ იმასთან რაც ვართ. მედიტაცია გვაშორებს იმის შეგრძნებას რომ არსით ცუდები ვართ.

დღეს მსოფლიოში მედიტაციას იყენებს შვიდასორმოცდაათი საავადმყოფო და კლინიკა, მედიტაციას მისდევენ როგორც ავადმყოფები ისე ექიმები. მედიტაცია შველის დეპრესიას. აწყნარებს ტკივილებს და მრავალ ავადმყოფობას.კოლეგებთან ერთად დოქტორმა ბლოშმა სტრასბურგის

უნივერსიტეტში შექმნა პირველი საუნივერსიტეტო დიპლომი “მედიტაცია და ნეირომეცნიერებები”... საავადმყოფოების შემდეგ მედიტაცია შევიდა საწარმო დაწესებულებებშიც. ბევრი თვლის რომ მედიტაცია აუმჯობესებს თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერებას.ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიტაცია უკვე ბევრად უფრო დიდი ხანია რაც იქცა წესჩვეულებათა ნაწილად. თავდაცვის დეპარტამენტმა 1,7 მილიონი დოლარი მისცა მაიამის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფს იმისთვის რომ მათ სრული ცნობიერების გამოყენება შეუთავსონ სამხედროთა საჭიროებებს. მიზანი-სამხედროებმა ფიზიზელი გონება უნდა შეინარჩუნონ წარმოუდგენელ და რთულ მდგომარეობებშიც რომლებშიც ისინი ხვდებიან ბრძოლის დროს. ამ პროგრამის მონაწილე ნეირომკვლევარი ამიში იჟას თქმით ის ცდილობს აღზარდოს მეტი გარჩევის უნარის მქონე ჯარისკაცი რომელიც ნაკლებად დაუშვებს შეცდომებს დაუდევრობით თუ სტრესის გამო. მედიტაციით ცდილობენ უშველონ ვეტერანებს რომელთა შორისაც მკვეთრად გაიზარდა დეზერტირობის, თვითმკვლელობათა, ნარკომანიის და ოჯახური ძალადობის შემთხვევათა რაოდენობა.სამხრეთ აფრიკაში, ინდოეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპერიმენტები ჩატარდა ციხეებშიც. მედიტაციას მისდევენ პატიმრებიც. ამან გამოიწვია აგრესიულობის კლება და გაუმჯობესდა პატიმრების და მათ მცველთა ურთიერთობები. მედიტაციამ შეაღწია ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის სკოლებშიც. მედიტაციის საფუძველზე შექმნეს საგანმანათლებლო თამაშები ბავშვებისთვის მედიტაციის წყალობით ბავშვებში მცირდება აგრესიულობა და ძლიერდება თანაგრძნობა ერთმანეთის მიმართ. ისინი უკეთეს ნიშნებსაც იღებენ. მედიტაცია შევიდა ოჯახებშიც. მშობლები სწავლობენ ყურადღების გამახვილებას განსჯის გარეშე.

და ბოლოს, ძნელი დასაჯერებელია, რომ მედიტაცია უშველის შეშლილ მსოფლიოს სადაც მდიდარი და ღარიბი ერთნაირად ეძებს სულიერ სიმშვიდეს. რომელიც ვფიქრობ, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაშია და ამიტომაც ებრძვიან მას ძლიერნი ამა ქვეყნისანი. დიახ, სიშლეგედ აქცია ღმერთმა სიბრძნე ამქვეყნიური!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ძლიერი რეგიონები

ადიგენი – სოფელ მოხეში ინკლუზიური სკოლამდელი დაწესებულება აშენდება

საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რეზიდენციაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში ახალი სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობის პროექტის საგრანტო ხელშეკრულების ცერემონია გაიმართა. პროექტს ადიგენის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით World Vision-საქართველო განახორციელებს.

ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ: ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი ზაქარია ენდელაძე, ახალციხისა და ადიგენის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი კოპაძე, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა გაბუნია, თვითმმართველობის სხვა წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

66 395 აშშ დოლარია გამოყოფილი სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობისთვის, რომელიც თანამედროვე და ინკლუზიური სტანდარტების გათვალისწინებით აშენდება და 2018 წლის ბოლოს გაიხსნება.

დაწესებულება მოემსახურება 100-მდე ბავშვს, მათ შორის საგანმანათლებლო საჭიროების და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, 8 ახლომდებარე სოფლიდან.

ოფიციალური ვიზიტით ისრაელში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ისრაელის მუნიციპალიტეტების ფინანსისტთა ასოციაციის (MFDA) ყრილობას ესწრებიან, რომელიც ქალაქ იელათში ერთ კვირას გაგრძელდება.

ვიზიტის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, ისრაელის სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გამგებლებსა და საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელებს შეხვდება. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციას, რომლის მიწვევით დელეგაცია ისრაელში გაემგზავრა, მჭიდრო ურთიერთობა აქვს სხვადასხვა ქვეყნის ფინანსისტთა ასოციაციებთან. მუდმივად ხორციელდება გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა, რაც გამოიხატება ასოციაციის ყრილობებზე ვიზიტებით და საქმიანი ურთიერთობებით. ისრაელში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად, საქართველოდან სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები იმყოფებიან. დელეგაციის ვიზიტი 24 მარტს დასრულდება.

ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ თეთრიწყაროში

ქალაქ თეთრიწყაროს № 1 საჯარო სკოლაში გამართულ ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონში“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 28 სკოლის 75 მოსწავლე იყო ჩართული.

პირველი ადგილი სოფელ კოდის საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ ნინო ახუაშვილმა მოიპოვა, მეორე – სოფელ ერტისის საჯარო სკოლის მეათეკლასელმა ლიანა წიქარიძემ, ხოლო მესამე – დაბა მანგლისის № 1 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ გიორგი ადამაშვილმა. შეჯიბრებაში გამარჯვებულს მიენიჭა „თეთრიწყაროს ეტალონი მოსწავლის“ ტიტული და ის ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ქორიძემ ჩემპიონატის დაწყებამდე მოსწავლეებს წარმატებები უსურვა და პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეებს, ასევე 2016–2017 სასწავლო წლის თეთრიწყაროს ეტალონ მოსწავლეს, მარიამ ყულიაშვილს საჩუქრად „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა.

თეთრიწყარო

შეხვედრები მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი თემურ აბაზოვი სამხარეო ადმინისტრაციის პირველ პირებთან ერთად მარნეულის 6 სოფლის – შაუმიანის, ზემო და ქვემო სარალის, კაჩაგანის, კასუმლოსა და თამარისის მოსახლეობას შეხვდა.

სოფლებში ძირითადად სასმელი და სარწყავი წყლის, გზის და გარე განათების პრობლემები დასახელდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა აღნიშნული პრობლემების ეტაპობრივი მოგვარების გზები დასახეს. შეხვედრის ბოლოს შეკრებილებს სოფლებში წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ჩამოთვლილ სოფლებში შარშან მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა და მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე ეს პროცესი წელსაც გაგრძელდება.

შაუმიანში ამჟამად შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შაუმიანი-წერაქვის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოასფალტდება 5კმ სიგრძის გზა. პროექტი ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 3 672 395 ლარს შეადგენს. ასევე მიმდინარეობს სოფელ შაუმიანის საბავშვო ბაღის დარბაზის მშენებლობა. პროექტს ადგილობრივი ბიუჯეტი 38 136 ლარით აფინანსებს.

შაუმიანში შარშან რეაბილიტირდა შიდა გზები. პროექტის ფარგლებში დაიგო 2 263 მეტრი სიგრძის გზა. პროექტის საერთო ღირებულებამ 310 461 ლარი შეადგინა. 2018 წელს კი ამავე სოფელში დაგეგმილია შიდა გზების რეაბილიტაციის მეორე ეტაპი, რისთვისაც გამოყოფილია 409 907 ლარი.

ზემო სარალში შარშან დასრულდა შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყო 1200 მეტრი სიგრძის არმირებული რკინაბეტონის გზის საფარი, საერთო ღირებულებით 292 500 ლარი.

ჩოხატაური – პროფესიული უნარებისა და სამოქალაქო განათლების ასამაღლებლად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი კუჭავა და საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ მამალაძე სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) რეგიონალურ დირექტორ მაია ავრამოვსკას და ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე იმსჯელეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ საგანმანათლებლო პროექტებზე, რომელთა მიზანია პროფესიული უნარებისა და სამოქალაქო განათლების ამაღლება.

გურჯაანის მერი საბავშვო ბაღებში სამზარეულოების მდგომარეობას ამოწმებს

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ხანდამაშვილი მოულოდნელად მუნიციპალიტეტის რამდენიმე საბავშვო ბაღს ესტუმრა და სამზარეულოებში არსებული მდგომარეობა შეამოწმა. ვაჩნაძიანის, ვაზისუბნის, შაშიანის, ჩუმლაყის, კალაურის №1 და №2 საბავშვო ბაღების სამზარეულოები სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა არსებობს ხარვეზებიც. ბაღები უზრუნველყოფილია წყლით, მოწესრიგებულია სავენტილაციო სისტემა, იატაკი შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს, დაცულია ჰიგიენური ნორმები. კოსმეტიკურ რემონტს საჭიროებს შაშიანისა და ჩუმლაყის საბავშვო ბაღების სამზარეულოები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში სულ 37 საბავშვო ბაღია. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების ინფორმაციით, საბავშვო ბაღებში ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სამზარეულოს ვენტილაცია, რაც ამჟამად მოგვარებულია. ზოგიერთ ბაღში არაეფექტიანი ვენტილაციის გამო დაზიანდა კედლები, ჭერი და საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. არჩილ ხანდამაშვილის განცხადებით, საბავშვო ბაღები მერიის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია და არსებულ პრობლემებს მერია ეტაპობრივად აღმოფხვრის.

ლაგოდეხი – თამარიანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია სრულდება

მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა სოფელ თამარიანში საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. პატარებს წლების განმავლობაში მოუწესრიგებელ შენობაში უწევდათ სიარული. ბაგა-ბაღი 201-კომლიან სოფელს ემსახურება და მასში 71 აღსაზრდელი ირიცხება. თამარიანის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან 367 367 ლარი გამოიყო. სამუშაოები მარტის ბოლოს დასრულდება.

პროექტის მიხედვით შეიცვლება შენობის სახურავი, მოპირკეთდება ფასადი, ჯგუფებში ჩატარდება შიდა კოსმეტიკური სამუშაოები, დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა, მოწესრიგდება სველი წერტილები. ასევე კეთილმოეწყობა ეზო, განლაგდება საბავშვო სათამაშოები.

ჯონდო მდივნიშვილის თქმით, „ახალი ინვენტარით აღჭურვილი თამარიანის საბავშვო ბაგა-ბაღი იქნება ერთ-ერთი საუკეთესო. ის

ძლიერი საქართველოსთვის

ლაგოდეხი

სრულად დააკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, კომფორტულ გარემოს შეუქმნის როგორც ბავშვებს, ისე იქ მომუშავე პერსონალს“.

სიღნაღის მერიამ ლამაზოშვილების ოჯახს საოჯახო ტექნიკა შეუძინა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ, მერიის თანამშრომლებისა და სოფელ ბოდბის საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლების ძალისხმევით, ამავე სოფელში მცხოვრებ ლამაზოშვილების მრავალშვილიან ოჯახს საოჯახო ტექნიკა – მაცივარი და სეტ ტოპ ბოქსი შეუძინა.

საოჯახო ტექნიკა და ჰუმანიტარული ამანათი ლამაზოშვილებს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა, მერის მოადგილემ თეიმურაზ ბალარჯიშვილმა და მერის წარმომადგენელმა სოფ. ბოდბის ადმინისტრაციულ ერთეულში ალექსანდრე კოჭლამაზაშვილმა გადასცეს.

„ჩვენამდე მოვიდა ინფორმაცია ამ მრავალშვილიანი ოჯახის შესახებ, რომელიც უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. დედა გარდაცვლილი ჰყავთ. მერიის თანამშრომლებისა და სოფელ ბოდბის მკვიდრთა ძალისხმევით, გადავწყვიტეთ მათთვის საოჯახო ტექნიკის შეძენა“, – აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 4 რეგიონის – სამეგრელო, გურია, იმერეთი, აჭარის ა/რ – ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ფერმერებს შეხვდნენ.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა შეხვედრის მონაწილეებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ. ლევან დავითაშვილმა ისაუბრა იმ ოთხ ძირითად მიმართულებაზე, რომლებიც მავნებელთან ბრძოლისთვის ხორციელდება. ესენია: საინფორმაციო კამპანია, მონიტორინგი, შეწამვლითი ღონისძიებები და სამეცნიერო საქმიანობა.

„ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გასატარებლად ახალი ტექნიკა შევიძინეთ. წელს 150 ერთეულზე მეტი სპეცტექნიკა გვაქვს მობილიზებული. საველე ღონისძიებებს ჩავატარებთ მონიტორინგის შესაბამისად. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რას აკეთებს სახელმწიფო და რას მოსახლეობა, იმიტომ რომ ეს კითხვა ხშირად ისმის. სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიებს ჩვენ დავამუშავებთ; რაც შეეხება უკვე უშუალოდ მოსახლეობას, აქ ჩვენ შევალთ სპეციალური ტექნიკით; თერმონისლით დავამუშავებთ ორღობეებს, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების მიმდებარე ტერიტორიას და ისეთ ნაკვეთებს, რომლებშიც შეგვიძლია პოპულაცია მაქსიმალურად შევამციროთ. თუ მობილიზებული მოსახლეობა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთებს მიხედავს, ფაქტობრივად, მოსავლის დაცვას შევძლებთ“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ რეგიონში გამართულ გაფართოებულ შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა იქნება მაქსიმალურად კოორდინირებული და თანმიმდევრული, რაშიც აქტიურად იქნებიან ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობები.

ზუგდიდი – სოციალური სახლების მშენებლობაზე განცხადებები მოწმდება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია მიმდინარე წელსაც აგრძელებს უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახებისთვის სოციალური სახლების მშენებლობისა და „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამებს. მათში ჩართვის მსურველთა განცხადებების ადგილზე შემოწმებისა და ანკეტირების პროცესი დაწყებულია ურთას, ცაიშის, ცაცხვის, ანაკლიის, განმუხურის, დარჩელის, კიროვისა და ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულებში, აგრეთვე ზუგდიდში – რუსთაველის, არაგვისპირელის, ქირიას, წულუკიძის, მაცხოვრისკარის, ჭანტურიას, ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და გამსახურდიას ქუჩებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შესული 210 განცხადებიდან, 132 სახლების მშენებლობაზეა და 78 – „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამაზე.

სახლების მშენებლობისა და „ერთი თბილი ოთახის“ პროგრამისთვის მიმდინარე წელს სულ 700 000 ლარია გამოყოფილი, აქედან 100 000 ლარი „ერთი თბილი ოთახის“ პროექტისთვისაა გათვალისწინებული.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2015–2017 წლებში 66 სახლი აშენდა.

ფოთში ხანდაზმულთა დღის ცენტრი დაარსდება

ქალაქ ფოთს შვედეთის დელეგაცია სტუმრობს, რომლის შემადგენლობაში არიან ქალაქ ოსტამარის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამოქალაქო სამსახურების წარმომადგენლები. ისინი ფოთში გეგმავენ ორწლიანი ერთობლივი პროექტის განხორციელებას სახელწოდებით: „სოციალური ინკლუზია – მუნიციპალური სერვისების განვითარება ხანდაზმულების, შშმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის“, რომლის ფარგლებში ფოთში ხანდაზმულთა დღის ცენტრი დაარსდება. ამასთან, იგეგმება ადგილობრივი სოცმუშაკების დატრენინგება როგორც ადგილზე, ისე შვედეთში, ქალაქ ოსტამარში.

შვედეთის დელეგაციას ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია მერის მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად შეხვდა.

მარტვილის მერი ტალერისა და კურზუს მოსახლეობას შეხვდა

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე გრიგალავა მერის წარმომადგენლებთან და მაჟორიტარებთან ერთად ტალერისა და კურზუს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა და მათს პრობლემებს გაეცნო. მოსახლეობამ პრიორიტეტად შიდა გზების რეაბილიტაცია და გაზიფიცირება დაასახელა.

ალექსანდრე გრიგალავამ მოსახლეობას გააცნო დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდება, ასევე ისაუბრა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამაზე.

მოსახლეობასთან შეხვედრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში იგეგმება.

სენაკში იუსტიციის სახლი აშენდება

სენაკში იუსტიციის სახლის მშენებლობა დაიწყო. სამუშაოების მიმდინარეობა ყოფილი ღვინის კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე, ელიავას 23-ში, საქართველოს პარლამენტის წევრმა, სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ბერაიამ, მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა ვასილ ჯანჯღავამ დაათვალიერეს და ადგილზე განიხილეს მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები.

სენაკის იუსტიციის სახლი თავისი ინდივიდუალური სტილით იქნება ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა. იგი არქიტექტურულად და ფუნქციურად დაამშვენებს და გააფართოებს ქალაქის არეალს. იუსტიციის სახლის კონცეფციის შესაბამისად, სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები სენაკშიც ერთ სივრცეში მოექცევა. აქვე განთავსდება ქორწინების სახლი და სასწავლო ცენტრი. სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღება სენაკშიც იქნება შესაძლებელი. პროექტის ღირებულება 2 350 000 ლარია. სამუშაოები მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება.

ჩხოროწყუ – საავტომობილო გზის რეაბილიტაცია სოფელ ლესიჭინეში

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა, მერიის სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, სოფელ ლესიჭინეში, რუსთაველის უბანში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. აღნიშნულ უბანში 3 კმ-ზე დაიგება ასფალტი და მოეწყობა სანიაღვრე არხები. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 712 000 ლარით ფინანსდება.

დმანისი – სამუშაო შეხვედრა მელიორაციის წარმომადგენლებთან

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი ტატუაშვილი ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში საქართველოს მელიორაციის წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო შეხვედრას დაესწრო, რომელსაც გუბერნიის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მერები ესწრებოდნენ.

რეგიონის ხელმძღვანელმა პირებმა კომპანიის წარმომადგენლებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია ადგილზე არსებული საჭიროებების შესახებ, ხოლო მათგან სოფლებში წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებული კონკრეტული წინადადებები მოისმინეს.

ზუგდიდი

დავით თორდია:

დიახ, მარიამ ღვთისმშობელი ქართველი იყო

გთავაზობთ ინტერვიუს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ახალი სიტყვის“ ხელმძღვანელთან, ბატონ დავით თორდიასთან.

— ბატონო დავით, როგორც ვიცი, თქვენ ჩვენი ქვეყნისთვის სახელწოდება საქართველოს დარქმევის შესახებ გაქვთ საინტერესო მოსაზრება. გააცანით ეს ჩვენს მკითხველებს.

— ქართველებს ისტორია რომ გვაქვს დაკარგული და ფალსიფიცირებული, ეს არახალია. ამიტომ დღეს თქვენს წინაშე წარმოვაჩენ კიდევ ერთ ფრიად საინტერესო ფაქტს, რომელსაც, დროა, ფარდა „საერთო გაზეთის“ საშუალებით აეხადოს.

გიორგობის დღესასწაული, წმინდა გიორგის პატივისცემით რომ აღინიშნება, ეს მთელმა მსოფლიომ იცის. მაგრამ ვინ არის ეს ადამიანი, მართალია თუ არა მისი ბიოგრაფიული მონაცემები და რატომ არის მონათლული იგი ამ სახელით?

პირველ რიგში, დავიწყოთ იქედან, თუ რას ეძახიან ჩვენს ქვეყანას

უცხოელები.

საქართველოს ჰქვია არა გეორგია, როგორც ეს ბევრ რუკაზეა, არამედ — გიორგია! თუ ორივე სწორია, რატომაა ასეთი არეულ-დარეული ეს ინფორმაცია, ან კიდევ რატომ ჰგავს ეს ორი სიტყვა ერთმანეთს — სახელწოდება გეორგია-გიორგია და საკუთარი სახელი გიორგი?

პირველი — გეორგია, საქართველო, ვითომ, უცხოელების ენით, ნიშნავს მიწათმოქმედთა, დამრგველთა ქვეყანას, ხოლო გიორგია ნიშნავს თითქოს იგივეს, მაგრამ ის პირდაპირი მნიშვნელობით კიდევ იყოფა ორ სახელად: გიორგი ნიშნავს წმინდა გიორგის სახელით მონათლულ ქვეყანას და მეორე, გიორგი, რომელიც ძველი ქართულით, იგივე მეგრულით, პირდაპირ გვეუბნება — დარგე, ანუ დამრგველთა, მიწათმოქმედთა ქვეყანა.

მინდა მოგახსენოთ, რომ, ისევ და ისევ, მივდივართ კოლხეთის გენიალური ცივილიზაციის ნანგრევებთან.

როდესაც განვიხილე ბერძნული ისტორია და მითოლოგია, პირველი, რაც მოხდა ის იყო, რომ გამიჩნდა დიდი გაოცება: თუ ბერძნებმა კოლხებს მოსტაცეს ოქროს საწმისი, სადაც, სავარაუდოდ, ეწერა ოქროს დამზადების წესი, რატომ უნდა ეწოდოს წიგნს„ ანტიკური საბერძნეთის ისტორია“? ეს ხომ ელემენტარულია? თუ ბერძნებმა არ იცოდნენ არც ოქროს დამზადების წესი და კიდევ ბევრი რამ, რაც ეწერა ოქროს საწმისზე და თუ მხოლოდ ამიტომ მოიტაცეს საწმისი, გამოდის, რომ სურდათ საკუთარი უცოდინარობა შეევსო თ.

მესამე, ბერძნებს ისტორიაში უწერიათ ასევე, რომ კოლხეთიდან წაიღეს ქვაზე ნაწერი დედამიწის სახმელეთო და საგზაო ნიშნები.

თუ მაშინდელი კოლხური ცივილიზაცია ფლობდა ქვას, იგივე რუკას, სადაც მთელი დედამიწის და ზღვების სავალი გზები იყო მოხაზული, მაშინ გამოდის, რომ კოლხებს მთელი მსოფლიო მოუვლიათ ფეხით, ნავით და ან თუნდაც მარტივი რაიმე„ პლანერით“ და ეს ყველაფერი ქვაზე გადაუტანიათ. გამოდის, რომ მაშინდელი კოლხეთი, ანუ დღევანდელი საქართველო უფრო ხნიერი, განათლებული, ანტიკური ქვეყანა ყოფილა და ასე რამ დააბრმავა მსოფლიო და მასთან ერთად ქართველი მეცნიერები, ამას რომ არ აღიარებენ?

რა ვთქვა, აღარ ვიცი და უნებლიეთ მახსენდება ქართველთა სინდისის ხმა:

„დამისხი, დამალევინე,
ე ღვინო ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო,
სოფლის უკულმა ტრიალი!“

უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ვიმყოფებით ბოლო ჟამის პერიოდში და ბოლო ჟამის ნიშნები სწორედ საქართველოში სრულდება.

— რატომ სწორედ საქართველოში?

— აბა სხვაგან სად უნდა მოხდეს?

ჩვენ რჩეული ერი ვართ და გაცხადებული ნიშნები უკვე ნათელია ჩვენს ყოველდღიურობაში, ოღონდ ყველა ამას ვერ ამჩნევს.

დღეს ჩვენ, უძველესი ქართველი ერი ისე ვართ დაჩაგრული, რომ არავინ არაფერს გვეკითხება. დროა, გამოვიღვიძოთ ლეთარგიული ძილისგან და დავიბრუნოთ ღირსება.

ამას წინათ ზურაბ ცინცქილაძე მომიყვა: ბაქოში ვიყავით, ერთ დღეს ატყდა ფეიერვერკები, ჟრიამული, შეიკრიბა უამრავი ხალხი. ბაირამი არ არის, არც რაიმე სხვა დღესასწაული. ვიკითხეთ, რა ხდება-თქო? იუნესკომ ტოლმა აზერბაიჯანულ ეროვნულ კერძად აღიარაო. ამას ზეიმობდნენ აზერბაიჯანელები. ქართველები რომ მსოფლიოში ღვინის პირველ დამწურველებად, ღვინის შემქმნელებად აღიარეს, ტელევიზიებმა ორ საინფორმაციო გამოშვებაში გამოაცხადეს და ამაზე მერე არავის არაფერი უხსენებია.

თქვენ, ალბათ, არც ის იცით, რომ მარიამ ღვთისმშობელი ქართველი იყო.

— რაზე დაყრდნობით აკეთებთ ასეთ სენსაციურ განცხადებას?

— ახლავე მოგახსენებთ.

უკრაინელი სალოსი და ბერი მამა იოაკიმე, რომელიც დღეს საქართველოში მოღვაწეობს, მანამდე 7 წელი იერუსალიმში დაჰყო, დიდ ხანს ათონის მთაზეც იმყოფებოდა და ბოლოს, მისივე გადმოცემით, საქართველოში გაამწესეს, ამტკიცებს, რომ დედა ღვთისა წარმოშობით ქართველი იყო.

გაიხსენეთ სერაფიმე საროველიც, რომელიც ამბობს: მეორედ მოსვლისას, საღვთო ტრაპეზზე ღვინო ივერიიდან იქნებაო.

ცხონებულმა პეტრე ქოჩაკიძემ 1558 წლის რუსული ისტორიული წყარო ამოიკითხა, სადაც აღნიშნული იყო, რომ, თურმე, 7 წლის მარიამ ღვთისმშობლის მოცვლილი კბილი და მკერდის რძე გელათში ინახებოდა. მე არ ვიცი, როგორ შეინახეს, მაგრამ ასეთი რამ ეწერა ისტორიულ წყაროებშიო. გელათში ინახებოდა თურმე ღვთისმშობლის თმაც.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ღვთისმშობელი ნამდვილად ქართველი იყო, დაეკვირდით მის რეაქციას მწუხარებისას. სახარების მიხედვით, მისი ძის ჯვარზე გაკვრის გამო ის სახეს იხოკავს. არ არსებობს მსოფლიოში სხვა ერი, სადაც ქალები

უბედურების ჟამს სახეს იხოკავენ. არც ის არის შემთხვევითი, რომ ღვთისმშობლის კვართი საქართველოშია დაბრძანებული.

— საოცარია, მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრობას, თქვენ წელან საქართველოსთვის სახელწოდების დარქმევის ასევე არაჩვეულებრივ მიგნებაზე საუბრობდით.

— დიახ, განვიხილოთ სათითაოდ სიტყვები: გიორგია, გეორგია, გერგობა და გიორგობა.

პირდაპირ დავიწყებ სიტყვათა განმარტებებს. თავიდან ჩვენი ღვთაება, იგივე ტოტემი, რომელსაც ისტორიკოსები წარმართულს ეძახიან, იყო მგელი. მან მისცა დასაბამი

ბევრ ქვეყანათა მითოლოგიურ პერსონაჟებს, გვარ-სახელთა, ეთნონიმთა და ტოპონიმთა დასახელებებს.

გეორგია, ეს სიტყვა არ არის ბერძნული, ჩვენი დიდებული წინაპრების მოგონილი სიტყვაა და საქართველოს მისი დიდებული, უძველესი ისტორიის გამო დაერქვა.

ერთ დროს ჩვენს ქვეყანაში ღვთაებად მგელი იყო მიღებული, ამიტომ მას მგელთა ქვეყანას ეძახდნენ.

წინარე ქართულით მარცვალი„ გე“ აღნიშნავს მიწის ზემოთ მდგომელს, მიწის ზემოთ მოქმედ პირს, ან არსებულ სიტუაციას. მგელი კი, კვლავ წინარე ქართულით, იგივე კოლხურ-მეგრულით არის გერ.

— თქვენი აზრით, რას ნიშნავს ეს ორი პარალელი?

— მოგახსნებთ: გე მიწის ზემოთ მყოფთა სამფლობელო, ანუ არა ქვემოთ, მიწაში, არამედ ზევით, სამოთხეში მყოფ ხალხთა ქვეყანაა. ღვთაება მგელი ითვლებოდა ამ ხალხის ამსახველ ტოტემად მისი სიძლიერის, ცხოვრებისეული სტილის და გონებრივი მონაცემების გამო. მგელი არის ჭეშმარიტი ცხოველთა მეფე, ის ვეფხვზე და ლომზე ფიზიკურად სუსტია, თუმცა ის ცხოველთა სამყაროში უფრო მეტი ღირსებით სარგებლობს: მგლები მონოგამები არიან, მათ სიყვარული, როგორც მთვარის სონატა, ერთხელ ესტუმრებათ და სიკვდილამდე ამ სიყვარულის ერთგული რჩებიან, მგელი ყველა არაჯანმრთელ და ავადმყოფ ცხოველს ანადგურებს, რის გამო იცავს ცხოველთა სამყაროს ეპიდემიისგან. მგელს ურჩევნია იყოს უკანასკნელი მგლებს შორის, ვიდრე პირველი ტურებს შორის, მხოლოდ მგელს შეუძლია მარტო შეებრძოლოს ტურების ხროვას, დაბოლოს, ცხოველთა მეფე -ლომი და ფრინველთა მეფე-არწივი თავს ესხმიან თავისზე უფრო სუსტს, ხოლო მგელი ეძიებს მასზე უფრო ძლიერს, სადაც იბრძვის თავგანწირულად და ამ ბრძოლაში მთელ თავის სიცოცხლეს და ენერგიას დებს. თუ წაადგებს, იგი კვდება ჩუმად, შიშის, ტკივილისა და წამუტუნის გარეშე.

ალბათ, ყველა ეს თვისება გაითვალისწინეს ჩვენმა წინაპრებმა, რადგან ქართველები, მართალია, პერიოდულად ვემონებოდით და „გვათვინიერებდნენ“, მაგრამ მრავალი საუკუნის შემდეგაც ვინარჩუნებთ თვითმყოფადობას და ბოლომდე არასდროს ვურიგდებით ეშმას.

სიტყვა-ეთნონიმი გეორგია ასე განიმარტება: მგელთა ქვეყანა, იგივე გერ+ო+გერ+ია.

— გერ+ო+გერ+ია რატომ?

— თუ ასე სვამთ კითხვას, მაშინ იქნებ მიპასუხოთ, რატომაა შუმერული ღმერთის სახელი„ ბა“ და მეგრულში მამაღმერთის სახელი გაორმაგებული მარცვლით —„ ბა+ბა“? და დედაღვთაების სახელი ასევე გაორმაგებული„ ნა+ნა“? ეს ერთგვარი ტექნოლოგიაა, რომელიც დააარსეს ჩვენმა ქურუმებმა და არის უმაღლესი საკრალური, მაგიური და საღვთო ინფორმაციულობის ნაზავი.

ჩვენს შემთხვევაში კი გერ+ო+გერ+ია ნიშნავს ორჯერ უფრო ძლიერს, აღმატებულს, ამქვეყნიურის და იმქვეყნიურის მფლობელს.

გიორგია პირდაპირ ნიშნავს დარგე-ს ქვეყანას. ესეც ჩვენი მიწათმოქმედთა ქვეყანა.

წმინდა გიორგის სახელი შეერქვა მისი უშიშრობის, ფიზიკური და სულიერი სიძლიერის გამო. წინარე ქართულად, გერ-კოჩ, გერიშ-გერ, რაც გერ+ო+გერ, სადაც შუაში მდგომი ასო„ ო“ აღმატებულობის მიმანიშნებელია. ამის მამტკიცებელი სახელია მეგრული დღესასწაულის სიტყვა — გერგობა (გერ-გერ-ობა).

მგელთან კავშირისთვის, დააკვირდით, როგორ ემთხვევა საქართველოს რუკა ძველი ტოტემისმგლის ფიზიონომიას.

ახლა მოგითხრობთ ერთ უნიკალური არაკს მგელკაცთა, ანუ ჩეჩენთა ფოლკლორიდან და დასკვნაზე მერე ვისაუბროთ:

ძალიან დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროს, ქვეყანაზე საშინელი

→

„უფლებადამცველი“ რესპუბლიკელებისთვის კანონი იმისთვის არსებობს, რომ დაარღვიონ

პარლამენტარებო! აღვადგინოთ სამართლიანობა!

2015 წლის თებერვალში გამართულ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, პარლამენტის თავმჯდომარემ — **რესპუბლიკელმა დავით უსუფაშვილმა,** მხარდაჭერის მიზნით, უმრავლესობის წევრებთან არაერთგზის მოლაპარაკების შემდეგ, იურიდიული კომიტეტის (თავმჯდომარე, **რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძე,** რომელმაც კანონდარღვევებზე შეგნებით დახუჭა თვალი) მიერ პარლამენტს წარუდგინა და შემდგომ აარჩევინა პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილის, **რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის** თანაშემწის მეუღლე, იმდროინდელი **რესპუბლიკელი მერაბ ქათამაძე** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრად. ამ არჩევანით საქართველოს პარლამენტმა ნებსით, თუ უნებლიეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არალეგიტიმურად აქცია.

რაში გამოიხატება კანონდარღვევები და აქედან გამომდინარე არალეგიტიმურობა? 2013 წელს პარლამენტის დეპუტატებმა, **რესპუბლიკელებმა — თინა ხიდაშელმა და თამარ კორძაიამ** საქართველოს კანონში მაუწყებლობის შესახებ მე-9-ე და მე-11-ე მუხლებში შეიტანეს ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს კომუნიკაციების კომისიის წევრობის კანდიდატთა (აპლიკანტთა) შესარჩევად ისეთ პუნქტებს, როგორიცაა, უპარტიობა: **მუხლი 11—1. კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, თუ იმავდროულად: ბ) არის პოლიტიკური პარტიის წევრი; (იმ დროისთვის მერაბ ქათამაძე რესპუბლიკური პარტიის წევრი და პარტიის ალმანახის რედაქტორი გახლდათ);**

რაც შეეხება კომისიის წევრობის კანდიდატთა სპეციალობის ჩამონათვალს: **მუხლი 9—6. კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, რომელსაც აქვს ეკონომიკის, საჯარო ადმინისტრირების, ბიზნეს ადმინისტრირების, სამართლის, ელექტრონული კომუნიკაციების ან ჟურნალისტიკის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, 3 წლისა — მმართველ თანამდებობაზე.** მმართველობითი თანამდებობის მიკუთვნებულ პირთა ჩამონათვალი სპეციალური კანონითაა გაწერილი; მოცემულ შემთხვევაში საზოგადოებრივი ცნობადობაც საფუძველს მოკლებულია... მაუწყებლობის კანონში აღწერილი ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნა უხეშადაა დარღვეული მერაბ ქათამაძის, როგორც კომისიის წევრის მიმართებაში.

აპლიკანტი მერაბ ქათამაძის მასალები, რომელიც განიხილა საქართველოს პრეზიდენტის იურიდიულმა და ადმინისტრაციულმა სამსახურებმა, არც კი უნდა გადაგზავნილიყო პარლამენტში განსახილველად, მაგრამ...

კომისიის ლეგიტიმურობის აღდგენისა, და ზოგადად სამართლიანობისთვის, საჭიროა პარლამენტმა დაუყოვნებლივ დააყენოს კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევებით კომისიის წევრის — მერაბ ქათამაძის იმპიჩმენტის საკითხი.

მით უმეტეს, რომ ასეთი პრეცედენტი უკვე მოხდა 2013 წელს, საქართველოს პარლამენტმა კომისიის ყოფილი წევრი, კარლო კვიტაიშვილი, მისი ნაციონალურ მოძრაობასთან აფილირების მოტივით გააიმპიჩმენტა.

პარლამენტარებო! აღვადგინოთ სამართლიანობა!

დავით ქავთარია

ქარი ამოვარდნილა, საზარელი ქარბუქი ხეებს ძირფესვიანად გლეჯდა, მთები იშლებოდა და იქცეოდა. წყლები და ზღვები ადიდდა და მინდვრებში გაიშალა. სამყაროში არსებული ყველა სულიერი სასოწარკვეთილი დარბოდა და გადარჩენას ლამობდა. მხოლოდ ერთი მგელი იჯდა მშვიდად. ის ვერ შეაშინა საშინელმა ქარიშხალმა. ის იყო ერთადერთი, ვინც გაბედა ქართან დაპირისპირება. გაშმაგებული გრიგალი საზარელი კივილით ტყავს აგლეჯდა მგელს, სულ სისხლის ნაკადულები ადინა, მაგრამ მგელი ადგილიდან არ დაძრულა, თავი ამაყად ასწია, ფეხები ღონივრად ჩაასო მიწაში, მიწის ძალას საკუთარ სხეულში იწოვდა და მედგრად უწევდა წინააღმდეგობას სტიქიას.

გარკვეული დროის შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, დაწყნარდა ქარი, მზემ გამოანათა, დედამიწაზე ისევ სიმშვიდემ დაისადგურა. ყველა სულიერი ერთად მოგროვდა და მგელთან მივიდა. მხეცებმა მგელს ჰკითხეს: ღვთის გულისათვის, მგელო, მთელი სამყარო გრიგალისგან აწიოკებული რომ ტრიალებდა, ხეებს ძირიანად რომ სთხრიდა, მინდვრები ადიდებულ წყლებს რომ მიჰქონდა, მთები რომ იშლებოდა და იქცეოდა, ყველა სულიერი რომ გაშმაგებით ეძებდა სამალავს თავის გადასარჩენად, შენ ადგილიდან არ დაძრულხარ, რას ნიშნავს ეს ყოველივე?

ქარისაგან ტყავშემოფლეთილი და დასისხლიანებული მგელი ამაყად იჯდა და შორ სივრცეს მიშტერებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ის ფეხზე ადგა და უპასუხა თანამოძმეებს: — მიწა, რომელზეც ვდგავარ, ჩემი სამშობლოა, ჩემი წინაპრების საძვალეა და ამიტომაც, აქ რა სიძნელეც არ უნდა შემხვდეს არასოდეს მივატოვებ მას.

ამ სიტყვების შემდეგ დარცხვენილი მხეცები ჩაფიქრდნენ და აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ. ნაჭრილობევი, ტყავდაფლეთილი, დასისხლიანებული მგელი თავის ადგილას დარჩა, მხოლოდ თვალი გააყოლა ბუნაგისკენ მიმავალ მხეცებს.“

აი, ასე ვდგავართ ქართველები დღესაც სამება ენით, მთლიანობაში კი ერთი ენით — ქ+ართ+ული ენით. ართ, იგივე ერთი და ღმ+ერთი ენით, ვდგავართ ურყევად, ფესვები გადგმული გვაქვს მიწის წიაღში და ეს ფესვები, თავად ხედავთ, თუ როგორ წვდება მთელ დედამიწას.

ამიტომაც ვერ გვიყო ძვრა ცხრა იმპერიამ.

გათენდება ხვალე და იმ ხვალაც ვიტყვით ჩვენს სათქმელს.

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“...

ირანდა კალანდაძე
593 56 1118

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— რა შემთხვევაში ხდება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის შეჩერება

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მთლიანად პასუხობს საქართველ; ოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 167. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის არდაწყება და შეჩერება

1. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

2. სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს:

ა) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, მოსამართლის იმ ვადით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

ბ) თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი — საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე ან/და 143[2]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ — მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში / ეს მუხლები ტრეფიკინგის მსხვერპლთ ეხებათ, როგორც სრულწლოვანს, ისე არასრილწლოვანს/;

დ) თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს — მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში გამოძიებისას პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას — სასამართლო მხარის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ.

4. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს, სასამართლო განხილვა/სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს/განახლდეს.

5. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.

* * *

— ვარ საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აზერბაიჯანელი. ჩემი შვილი 4 წლის წინ დაიბადა თურქეთის რესპუბლიკაში. მოხდა ისე, რომ დღემდე ვერ მოვახერხე, რიგი მიზეზების გამო, ბავშვის დაბადების მოწმობის აღება. მაქვს მხოლოდ სამედიცინო ცნობა მამრობითი სქესის ბავშვის დაბადების შესახებ თურქეთის ერთ-ერთი სამშობიარო სახლიდან. როგორ ავიღო დაბადების მოწმობა? იქნებ დამაკვალიანოთ.

— შეკითხვა გასაგებია. თქვენ უნდა მიმართოთ სახელმწიფო სერვისების მომსახურების სააგენტოს, იგივე იუსტიციის სახლს. უნდა წარადგინოთ ბავშვის ფოტოსურათები, სავარაუდოდ, აუდიოდისკთან ერთად. ორი მეზობლის პირადობის მოწმობის ასლი. ამ მეზობლებმა უნდა დაადასტურონ, რომ ნამდვილად თქვენ ხართ ბავშვის დედა. ბავშვის მამამ, თუ მასთან იმყოფებით სამოქალაქო ქორწინებაში, ასევე, უნდა დაადასტუროს ბავშვის დაბადების ფაქტი. შესაბამისად, წარადგენთ ქორწინების მოწმობას და, აქაედან გამომდინარე, არ იქნება პრობლემა ბავშვისათვის მამის გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ არ იმყოფებით სამოქალაქო ქორწინებაში, მამამ მაინც უნდა დაადასტუროს ბავშვის დაბადების ფაქტი და ასევე, ფაქტი, რომ ის არის ბავშვის ბიოლოგიური მამა, რასაკვირველია, თუ ის აღიარებს ბავშვის მამობას. თუ მამობას არ აღიარებს, შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და ამ გზით მოიპოვოთ მამობის აღიარება.

გარდა ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, თქვენ აუცილებლად დაგჭირდებათ თურქეთის რესპუბლიკიდან ბავშვის დაბადების სამედიცინო ცნობის აპოსტილით დამოწმება. უნდა მიმართოთ თურქეთის რესპუბლიკაში არსებულ საქართველოს საკონსულოს, რომელიც გადაამოწმებს ამ ცნობის ნამდვილობას და დაამოწმებს აპოსტილით. ყველა ამ დოკუმენტს, რომელთა შესახებაც მოგახსენეთ, ერთად წარადგენთ იუსტიციის სახლში, რომელიც დაადგენს ბავშვის დაბადების იურიდიულ ფაქტს და გასცემს დაბადების მოწმობას.

ქვეყნები სახელმწიფო ვალის გარეშე

მსოფლიოს ქვეყნებს დაახლოებით 53 ტრილიონი დოლარი ვალი აქვთ. ამ თანხის 33% (დაახლოებით 17,5 ტრლნ დოლარი) ამერიკის სახელმწიფო ვალია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, დამოუკიდებელი ქვეყნების რიცხვი, რომლებსაც ვალი არ გააჩნიათ, 195-ს აღწევს. გარდა ამისა, არსებობს განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორიები, რაც მათ საშუალებას აძლევს, აწარმოონ დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა. დღეისათვის მხოლოდ ხუთ ქვეყანას შეუძლია ვალებისა და კრედიტების გარეშე ცხოვრება.

რომელ ქვეყნებს აქვთ წარმატებული ეკონომიკა და როგორ ახერხებენ ისინი ვალების გარეშე ცხოვრებას?

მაკაო

მაკაოს ეკონომიკა ტურიზმს, სათამაშო ბიზნესს, ფოერვერკებისა და ტექსტილის წარმოებას ეფუძნება. ავტონომიის მთავრობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ეკონომიკური დივერსიფიკაციისთვის, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა: მანქანათმშენებლობა, ხელოვნური ყვავილებისა და სათამაშოების დამზადება. ერთიანი შიდა პროდუქტის 25% ტურისტულ სექტორზე მოდის, 40% — სათამაშო ბიზნესზე. მოგების სიდიდით მაკაოს შემოსავალმა, რომელიც ჩინეთის შემადგენლობაში შედის, ლასვეგასს გაუსწრო. 2013 წელს აზარტული დაწესებულებებიდან და ღამის კლუბებიდან მიღებულმა შემოსავალმა 45 მლრდ დოლარი შეადგინა. მაკაო თავისუფალი ვაჭრობის პორტია და მისი ეკონომიკა იმპორტ-ექსპორტზეა დამოკიდებული. იმპორტის დიდი წილი ჰონკონგსა და იაპონიაზე მოდის. ექსპორტი კი ტანსაცმელი, ტექსტილი, სათამაშოები, ფოიერვერკები, ჩინური ღვინო და ელექტრონიკაა. მაკაო სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საშუალო მაჩვენებელი 84,43 წელია.

ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები

მიუხედავად იმისა, რომ კუნძულები გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში შედის, ეკონომიკას დამოუკიდებლად მართავს. მთელი კარიბის რეგიონში ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულების ეკონომიკა ყველაზე სტაბილური და განვითარებულია. სტატისტიკური მონაცემებით, კუნძულებს წელიწადში 800 ათასი ადამიანი სტუმრობს. მაგრამ არის კიდევ ერთი მაჩვენებელი, რომელიც ვირჯინიის კუნძულებს კრედიტების გარეშე ცხოვრებაში ეხმარება, ის გახლავთ, რომ მათ ტერიტორიაზე განლაგებულია მსოფლიოს ოფშორული კომპანიების 40%. ფინანსური აქტივები, რომლებიც ამ კომპანიების საშუალებით გადის, მსოფლიო ბაზარზე არაპროპორციულად მაღალია. ბრიტანეთის კუნძულები მსოფლიოში ყველაზე მაღალ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს იღებს. ასეთი პოპულარობა ოფშორული

მომსახურების სფეროში კუნძულებმა მოიპოვეს ოფშორული კორპორაციების შესახებ კანონის წყალობით, რომლის მიხედვით კუნძულებზე ყველაზე დაბალია დანახარჯები იურიდიული კომპანიის რეგისტრაციასა და შექმნაზე, ასევე არ არსებობს არავითარი მოთხოვნები ხელმძღვანელის რეზიდენტულობის შესახებ და საწესდებო კაპიტალის მინიმუმთან დაკავშირებითაც დაბალი მოთხოვნებია. კომპანიის დარეგისტრირება ერთ დღეშია შესაძლებელი. ყველაზე მიმზიდველი მომენტი აბსოლუტური კონფიდენციალობაა. ქვეყნის მთავარი ვალუტაა ამერიკული დოლარი, რაც ფრიად მომგებიანია, განსაკუთრებით კუნძულების გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. კუნძულებზე გასამგზავრებლად ვიზა საჭირო არ არის, რაც ბიზნესის წარმოებისთვის კიდევ ერთი დამატებითი პლუსია.

ლიხტენშტეინი

ლიხტენშტეინის ეკონომიკური სტრუქტურა მრავალფეროვანია და ძირითადი აქცენტი მრეწველობაზეა, რასაც ქვეყნისთვის ერთიანი შიდა პროდუქტის 40% მოაქვს. სამეფოში 3000 კერძო საწარმო არსებობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის 11 მოსახლეზე ერთი საწარმო მოდის, შესაბამისად, უმუშევრობაზე ლაპარაკიც არ არის. სახელმწიფოში ცხოვრების დონე ძალზე მაღალია — ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 100 ათასი დოლარია. ასეთი მაღალი მაჩვენებლების მიღწევა მარტო მრეწველობის შედეგი როდია. ქვეყნის შემოსავლის დიდ ნაწილს შეადგენს ის უცხოური კომპანიები, რომლებიც ამ ქვეყანაშია დარეგისტრირებული. დაბალი გადასახადებისა და ოფშორული ზონის გამო (შემოსავლის 3%) ამ კომპანიების რიცხვი 70 ათასზე მეტია.

ბრუნეი

ბრუნეის ეკონომიკის საფუძველი ნავთობისა და გაზის მოპოვებაა. მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 90%-ს უზრუნველყოფს ამ დარგიდან მიღებული შემოსავალი. ბრუნეის გაზის საბადოებზე პრაქტიკულად ქვეყნის მთელი მოსახლეობა მუშაობს. მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბრუნეი ერთ-ერთი ყველაზე კეთილსაიმედო ქვეყანაა, რომლის ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 48 ათასი დოლარია. ამასთან, ბრუნეის მოქალაქეები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს, აქვთ უფასო განათლება და ჯანდაცვა, ასევე უპროცენტოდ შეუძლიათ სესხის აღება. ცხოვრების ასეთი მაღალი დონის პირობებში ყველაზე სასტიკი სასჯელი ბრუნეის მოქალაქისთვის ქვეყნის მოქალაქეობის ჩამორთმევაა. ქვეყანაში საკმაოდ მკაცრი კანონებია, ამითომ უცხოელები აქ დიდი სიხარულით არ ჩამოდიან. როგორც ჩანს, დისციპლინა ბიუჯეტის საკითხებზეც ვრცელდება და სწორედ ამიტომ ცხოვრობს ბრუნეი კრედიტებისა და ვალების გარეშე.

პალაუ

წყნარი ოკეანის ფილიპინების ზღვაში მდებარე ამ სახელმწიფოს შემთხვევაში ძალიან საინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. პალაუს ეკონომიკას გარგად განვითარებულს ვერ დაარქმევ, ერთიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 8,1 ათას დოლარს შეადგენს. ამ ქვეყნის მოსახლეობა თავს თვითონ ირჩენს. პალაუში განვითარებული დარგებია სოფლის მეურნეობა, თევზჭერა და ცოტათი — ტურიზმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყნის ცხოვრების დონე ღირსეულ დონეზეა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ პალაუ ვალების გარეშე მცხოვრები ქვეყნების ხუთეულში შედის.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ნამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983